**საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია** | **პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

**კვირა, 19 ოქტომბერი, 1919 წ.**

# ერთობა

**ფასი 2 მანეთი**


გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალ... ... ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, ... ...ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

**ტელეფონი 16—62.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



**№ 238** — **ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა** — **№ 238**



გულდათუთქული დავით (საშა), ქეთევანი და კონსტანტინე გრიგოლის ძენი ლორთქიფანიძეები აუწყებენ საზოგადოებას, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს ტრაგიკულათ გარდაიცვალა პირველის უძვირფასესი საცოლო და მეორეს საყვარელი სარძლო

კურსისტკა **ანნა ფილიპეს ასული კოპაჩევსკაია**

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან იოანე „ბოგოსლოვის“ სასაფლაოზე. (2732—1—1)

საქართველოს სახაზინო რკინის გზის სამმართველოს ამხანაგ-მოსამსახურენი გულჩათხრობილნი გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ვერაგულ ხელით უდროვოთ დაკარგულ ამხანაგის

**პლატონ კიკნაძისას**

(2739—1—1)

თავზარდაცემული მეუღლე ნადია თავისი პაწია შვილი ეთერით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის ძვირფასს და საყვარელ

**ანდრო (ვანიჩკა) სოლომონის ძე სვანიძის**

უდროვოთ და ტრაგიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში სამშაბათს 4 საათზე. (2733—2—1)

გულდათუთქული სიდედრი ელპიტე შვილებით: ფუდო და კლიათი, ბებია ეკა, ბიძები: სამსონ, ისაკო, ვასო და ვანო ვანიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასს და საყვარელ სიძის

**ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის**

ტრაგიკულათ გარდაცვალებას. (2733—2—1)

ღრმათ დამწუხრებულნი დეიდა ვერიჩქა და ბიძა გიორგი თალაკვაძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

**ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის**

უდროოთ და ტრაგიკულათ გარდაცვალებას. (2733—2—1)

გულდამწვარი დედა ნატალია შვილებით: ნესტორ მეუღლით ელენა იოსების ასული ჩიხლაძისა, პეტრე და პაშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვისს ძვირფას და საყვარელ შვილის და ძმის

**ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის**

უდროოთ და ტრაგიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში სამშაბათს 4 საათზე. (2733—2—1)

თავზარდაცემული სიძე ელიზბარი მიხეილის ძე ჩიქავა მეუღლით ოლღა სოლომონის ასული სვანიძის, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათთვის ძვირფას ძმის

**ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის**

უდროოთ და ტრაგიკულათ გარდაცვალებას. (2733—2—1)


## „ნეიტრალური ზონა“ სომხეთ-ადერბეიჯანს შორის

მკითხველებს ეხსომებათ ის პროექტი, რომელიც შეიმუშავა ვერსალის კონფერენციის კომისარმა პოლკოვნიკმა ჰასკელმა სომხეთის და ადერბეიჯანის მოსარიგებლათ. მთავარი მუხლი ამ პროექტისა ეხებოდა სადავო რაიონებში—ნახიჩევანის და შარურის მაზრებში—„ნეიტრალურ ზონის“ დაარსებას. „ნეიტრალური ზონის“ მთავარ გამგებლათ იქნება ამერიკელი გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც უნდა მოაწყოს ადგილობრივი ადმინისტრაცია და მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი.

მიუხედავათ იმისა, რომ თავიდან ამ პროექტმა ვერ დააკმაყოფილა ვერც ერთი მხარე, სისხლის ღვრის და ხოცვა-ჟლეტის შეჩერების საჭიროება ისე ძლიერი გამოდგა, რომ დღეს როგორც ადერბეიჯანი, ისე სომხეთი მზად არიან გულში ჩაიკლან თავისი უკმაყოფილება და თანხმდებიან პოლკოვნიკ ჰასკელის მიერ შედგენილ პროგრამაზე. 23 ოქტომბერს შარურის და ნახიჩევანის მაზრები ოფიციალურად იქნებიან გამოცხადებული „ნეიტრალურ ზონად“, პოლკოვნიკ ჰასკელის თანაშემწე აზერბეიჯანის და სომხეთის წარმომადგენლების თანადასწრებით გაემგზავრება ამ ადგილებში, აღნიშნავს „ნეიტრალურ ზონის“ საზღვრებს და შეიყვანს ამ საზღვრებში ამერიკელს გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც დაავალებს „ნეიტრალურ ზონის“ მართვას.

ჩვენ არ შეიძლება თანაგრძნობით არ მივეგებოთ ამ ამბავს. მოდავე სახელმწიფოთა შორის „ნეიტრალურ ზონის“ დაარსების სისტემა, რა თქმა უნდა, სადავო საკითხების საბოლოოთ გადაჭრას და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მოგვარებას ვერ მოგვიტანს. ეს არის მხოლოდ დროებითი ზომა. მაგრამ იმ დროს, როდესაც ორი სახელმწიფოს მცხოვრებნი ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას ეწევიან, იმ დროს, როდესაც ორივე მებრძოლ მხარის მთელი ყურადღება იქით არის მიმართული, რომ მოწინააღმდეგე გაანადგუროს, ამისთანა დროს მხოლოდ „მესამე პირს“ შეუძლიან მათ შორის ჩადგეს და ორი მებრძოლი მხარე გააშველოს. ხშირათ ბრძოლის ცოტა ხნით შეჩერებასაც კი აქვს ხოლმე ამისთანა მდგომარეობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა. „ნეიტრალურ ზონის“ დაარსება იმ გააფთრებულ ბრძოლის დროს, რომელსაც ადგილი აქვს სომხეთ-აზერბეიჯანს შორის, სწორეთ ამნაირს „გაშველებას“, „გაზავებას“ ემსგავსება. მთავარი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ შეჩერდეს ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა. „გაზავებული“ მოწინააღმდეგენი დაისვენებენ, დამშვიდდებიან, ჩაუკვირდებიან თავის მდგომარეობას, ჩაფიქრდებიან ჩხუბის მიზეზებზე და ეჭვი არ არის, მივლენ იმ დასკვნაზე, რომ სადავო საკითხების გადასაწყვეტ საშუალებათა შორის ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა ყველაზე მხეცური, ყველაზე უაზრო და ყველაზე უგუნური საშუალებაა. პირველი ის არის, რომ მოჩხუბარ მხარეებს დრო და საშუალება მიეცეს, რომ ყველაფერი ეს მოისაზროს, ყველაფერს ამას ჩაუფიქრდეს. „ნეიტრალურ ზონის“ დაარსება სწორეთ ამ საშუალებას აძლევს. იგი წარმოადგენს ერთნაირს „დროებით ზავს“, რომლის დროსაც ადერბეიჯანი და სომხეთი, ეჭვი არ არის, დამშვიდებით გამართავენ მოლაპარაკებას და გამონახავენ რაიმე შეთანხმების გზას.

შემდეგში, როდესაც ეს გზა ნაპოვნი იქნება, „ნეიტრალური ზონა“, რა თქმა უნდა, მოიხსნება, „მესამე პირის“ როლი გათავდება, სახელმწიფოთა შორის მტკიცე საზღვრები გაივლება და ჩხუბის და ხოცვა-ჟლეტის ალაგს დაიჭერს თანამშრომლობა და მეზობლური კეთილგანწყობილება.

დიდხანს გასტანს „ნეიტრალურ ზონის“ არსებობა, თუ ცოტა ხანს, ეს თვით სადავო საკითხების სიმწვავეზე და ურთიერთობის სირთულეზე იქნება დამოკიდებული. სომხეთ-ადერბეიჯანის შორის ისეთი გამწვავებული და გართულებული ურთიერთობაა, რომ შესაძლებელია „ნეიტრალური ზონის“ არსებობამ დიდხანს გასტანოს, მაგრამ, რაც უფრო მალე დაადგება ორივე მხარე შეთანხმების გზას, მით უფრო უკეთესი იქნება მათთვის, ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ: გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს ბ. უსუბბეკოვს მოლაპარაკება ჰქონია სომხეთის წარმომადგენელ ბ. ბეკზადიანთან, ორთავეს ურყეველი სურვილი გამოუთქვამს, რომ სომხეთ აზერბეიჯანს შორის კეთილ-მეზობლური ურთიერთობა დამყარდეს, და ამის საუკეთესო საშუალებათ მიუჩნევიათ კონფერენციის გამართვა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ იმ რყევა ნგრევის ხანაში, რომელსაც დღეს განიცდის თითქმის მთელი კაცობრიობა, როდესაც „ყველა ყველას მგლათ“ არის გადაქცეული და როდესაც ყოველივე ხშირად მცირე მნიშვნელოვანი ინტერესთა წინააღმდეგობა ომს აჩაღებს, ამისთანა ხანაში „ნეიტრალურ ზონის“ იდეა ჩვენ მიგვაჩნია ყოველ თანაგრძნობის ღირსად.

## ყაჩაღთა თარეში

ამ ბოლო დროს ყაჩაღთა თარეში მეტად გაძლიერდა. მატარებელზე და გემებზე თავდასხმა, მთელი სოფლების დარბევა და გაძარცვა ხშირ მოვლენათ იქცა. ისედაც აფორიაქებულ ცხოვრებას მათი თავხედობა და თარეში კიდევ უფრო ართულებს და ხალხის ბედ იღბალს საბედისწეროთ ხდის. ხალხი დაიღალა, მოიქანცა. მას სჭირია მოსვენება, თავის აწეწილ-დაწეწილ საქმეების მოგვარება-მოწესრიგება. ამისთვის კი საჭიროა, პირველ ყოვლისა, წყნარი და მშვიდობიანი ცხოვრება. ამას კი ხელს უშლის ერთის მხრით ჩვენი გზა-აბნეული ბოლშევიკების დამღუპველი პროპაგანდა-აგიტაცია, ხოლო მეორე მხრით—ყაჩაღთა ასეთი თავაშვებული თარეში.

რესპუბლიკის მთავრობამ ყაჩაღთა ასალაგმავათ სასტიკი ზომები მიიღო, ადგილობრივი ერობებიც ენერგიულათ შეუდგნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლას და უმეტეს ადგილებში კიდევაც საზღვარი დაუდეს მათ თარეშს. მარა რამდენათ შესუსტდა მათი თარეში რესპუბლიკის შიგნით, იმდენათ გაძლიერდა ბათუმის ოლქში.

ბათუმის ოლქში განსაკუთრებული პირობებია. ქალაქი და ოლქი სხვის ხელშია. ბათუმის ადმინისტრაცია მეტათ სუსტი გამოდგა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამან კიდევ უფრო გაათამამა იოლათ გამდიდრების მოტრფიალენი და დღემდის თავისუფლათ განაგრძობენ თავის ბნელ საქმეებს.

სამწუხაროთ, ჩვენს ადმინისტრაციას არ აქვს მოქმედების თავისუფლება ამ ოლქში. მართალია, ამ დღეებში ჩვენს ადმინისტრაციას მისცეს უფლება ზოგიერთი ზომების მიღებისა, მარა მათი მოქმედების ფარგალი განსაზღვრეს რკინის გზის ლიანდაგით.

სამოქმედო რაიონის ასეთი შეზღუდვა მეტად უშლის ხელს ჩვენს ადმინისტრაციას. ეს დაამტკიცა, სხვათა შორის, მატარებელზე უკანასკნელმა თავდასხმამ. მატარებელი გადაარჩინეს გაძარცვას, მარა ყაჩაღების დადევნება შეუძლებელი გახდა, რადგან მათ არ ქონდათ უფლება რკინის გზის ლიანდაგს. გასცილებოდნენ ამ არა ნორმალურ მდგომარეობას უკვე მიაქცია ინგლისის წარმომადგენლის ყურადღება ჩვენმა გარეშე საქმეთა მინისტრმა და უნდა ვიფიქროთ, ჩვენი მთავრობის სამართლიანი და მიზანშეწონილი წინადადება მიღებულ იქნება და ჩვენს ადმინისტრაციას მიეცემა უფლება და საშუალება მიიღოს საჭირო ზომები ყაჩაღების წინააღმდეგ მთელ ოლქში. ჩვენი ადმინისტრაცია უფრო დახელოვნებულია ყაჩაღებთან ბრძოლაში, ვინემ უცხოელების მილიცია და ამიტომ ბრძოლაც უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი იქნება. ბათუმის გაწმენდა ყაჩაღებისაგან კი ფრიად სასწრაფოა, რადგან იქ გამეფებული ავაზაკობა თავზარს სცემს ვაჭრობა-მრეწველობას, ხელს უშლის რესპუბლიკაში საქონლის შემოტანა-გატანას და ასე, როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკის მცხოვრებთ საშუალებას ართმევს თავის ეკონომიური და სავაჭრო-სამრეწველო საქმეები მოაგვარონ, რაიცა ასე საჭიროა ჩვენი აწეწილ-დაწეწილი ეკონომიური მდგომარეობის მოსაწესრიგებლათ.

ავაზაკთა თარეშმა უკვე აავსო ჩვენი ხალხის მოთმინების ფიალა და როგორც გურიიდან მიღებული დეპეშა გვაუწყებს, (იბეჭდება ამავე ნომერში) თვით ხალხი იღებს აქტიურ მონაწილეობას მათ დევნა-დაჭერაში. ოცდაორი ყაჩაღის ასე სწრაფად დაჭერა იმდენათ დიდ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მისი მოხდენა მხოლოთ ხალხის ერთსულოვნებას და ენერგიას შეეძლო. დამტკიცებულია, რომ, როცა ხალხი თვით მიმართავს ასეთ ზომებს—ყაჩაღობასაც ბოლო ეღება. დარწმუნებული ვართ, გურიის მაგალითს სხვა მაზრებიც მიბაძავენ და ასე—ყაჩაღების და სხვა ბნელ ძალების ალაგმვით, შექმნიან შესაფერ პირობებს მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

განი.

## პრესა

გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 17 ოქტომბრის ნომერში (№ 211) შემდეგი მეთაურია დაბეჭდილი:

„ბათუმის ოლქში არავინ არ სცნობს და არც არასოდეს არ იცნობს არც დენიკინს და არც ლენინს. მარა ამ ოლქის დედა-ქალაქ ბათუმში და ოლქის ერთ ნაწილში მაინც დენიკინელებია ხელოვნურად გაბატონებული. ოლქის მეორე კუთხე, შავშეთი კი ცნობილი ავანტიურისტის სერვერ-ბეგების ბანდების გამგეობის ქვეშაა. ჩვენ შავშეთიდან ნამდვილი ცნობა მივიღეთ, რომ იქ მოუკლავთ „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრს, ოსმალეთის აფიცერს ხალილ-ბეის, რომელსაც თავი მოუყრია ბანდებისათვის და თავისი თავი შავშეთის ბატონ პატრონათ გამოუცხადებია. ვინც მას არ დაემორჩილება, სასტიკათ სჯის, როგორც თვითმპყრობელი. ამას წინათ უმწეოთ მიგდებულ შავშეთის თვითმპყრობელი თავს დასხმია ნეჯიბ-ბეგ ხიმშიაშვილის სახლ-კარს, ხიმშიაშვილს თავი დაუხწევია, თავდამსხმელებს მოუკლავთ ნეჯიბ ბეგის მოსამსახურე ქალი.

აქეთ დენიკინის აგენტების სრული ბატონობა, იქეთ სერვერ-ბეგის ბანდების თვითმპყრობელობა. მცხოვრებლებს არც ერთი სწამთ და არც მეორე. ორივე თავის მტერათ მიაჩნიათ. ითხოვენ, რომ ბათუმის ოლქი გაწმენდილ იქნას როგორც ერთისაგან, ისე მეორესაგან, მარა ვინაა გამკითხავი. მათი თხოვნა უყურადღებოთ რჩება.

ართვინისა და შავშეთის მცხოვრებლებმა ითხოვეს, რომ მისცენ მათ ნება და ხალილ-ბეის ბანდებს თვით მცხოვრებლები გაუსწორდებიან, მარა მცხოვრებლებს შეიარაღების ნებას არ აძლევენ და უიარაღოთ ხომ შეუძლებელია ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებულ ბანდების გარეკა.

ერთი სიტყვით ბათუმის ოლქი მეტის მეტ არა ნორმალურ მდგომარეობაშია; არ ვიცით, თუ ვის რა შევცოდეთ, რომ ასეთს მდგომარეობას განვიცდით. სანამ აქ ინგლისის ოკუპაცია გამოცხადდებოდა, ყარსიც ხომ ისეთივე მდგომარეობაში იყო მაშინ, როგორც ბათუმი. მარა ყარსის სომხებზე გადაცემა შესაძლებლათ სცნეს და თუ ეს შესაძლებლათ დაინახეს, რატომ არაა შესაძლებელი, რომ ბათუმის ოლქი, რომელიც ქართველ მუსლიმანებით არის დასახლებული და რომელიც საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენს, საქართველოს ფარგლებში შევიდეს ფართე ავტონომიურ საფუძველზე. განსაკუთრებითი შეცოდება ხომ არ მიგვიძღვის ვინმეს წინაშე, რომ ასე ვისჯებით, რომ ჩვენ უმორჩილეს თხოვნას არავინ ყურადღებას არ აქცევს?

ჩვენ ქართველი მუსულმანობა, დიდათ შეურაცყოფილათ ვგრძნობთ თავს, რომ ჩვენ ბატონ-პატრონებათ კვლავ მოგვევლინენ ისინი, ვინც თვითმპყრობელობის მარჯვენა ხელი იყვნენ და ვისგანაც დიდი ტანჯვა-ვაება გვიცდია. ჩვენი ინტერესები განზეა მიგდებული და ინტერესები დენიკინელებისა კი ყოველ სფეროში კმაყოფილდება“.

## დამფუძნებელი კრება

17 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი.

მიღებულ იქნა საბოლოვო ტექსტი დეკრეტებისა: სახალხო გვარდიის საჭიროებისათვის სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 10 მილ. მანეთის გადადების შესახებ და ერთდროულ სანიტარულ და პირდაპირი სახელმწიფო გადასახადების მყიდველზე გადატანის აკრძალვის შესახებ.

**ეროვნულ დემოკრატების შეკითხვა.**

გრძელდება მსჯელობა ეროვნულ დემოკრატების შეკითხვის გარშემო.

ჯგ. ჭაჭანიძე (ს.-დ.). ბ-ნმა ი. ასათიანმა თავის საპასუხო სიტყვაში შეეცადა უდანაშაულოთ დასჯილებათ გამოეყვანა ხონის გამოსვლის ინიციატორები და მეთაურები. მას მოყავს ყოფილი მილიციის უფროსის ბურჯანაძის და უბნის ზედამხედველის ვიღაც ყუფარაძის ჩვენებები, რომელთაც თითქო განუცხადებიათ, რომ ლუკა ზაბტაძე, იასონ ჩხენკელი, რომელნიც დღეს იმალებიან, და სხვები, არაფერშიც არ არიან დამნაშავენი; ბ-ნი ასათიანი იმოწმებს აგრეთვე რაღაც თხოვნას, რომელსაც თითქო ორი ათას ხონელ მოქალაქეს მოუწერია ხელი. ბატონებო, როგორც შეკითხვის დასაბუთებიდან სჩანდა, ნაციონალ-დემოკრატები მოძრაობის მიზეზათ ასახელებენ ხონის ქალაქათ გადაკეთებით გამოწვეულ დიდ ხარჯებს. დღეს რომ ხონში გააუქმოთ ქალაქის თვითმართველობა და მის ნაცვლად შემოიღოთ საერობო ერთეული, მაშინაც ახლანდელზე ნაკლები შტატებით და ხარჯებით ვერას გახდებით და არსებულ შტატს ვერ შეამოკლებთ.

ბ ნ ასათიანს უნდა დაემტკიცებინა, რომ ხონში მართლა დიდი გადასახადებია, ბევრი ხარჯებია და მცხოვრებთ არ შეუძლიათ ამ დიდი ხარჯების ატანა. მან ეს ვერ დაამტკიცა. მაშ რას თხოულობს ის თხოვნა, რომელიც ასათიანს უკავია ხელში და რომელზედაც თითქო ორი ათას ხონელს უწერია ხელი? მართლაც და გიჟები ხომ არ არიან ეს ხალხი? არა, ხონში გიჟები არ არიან; არიან მხოლოდ ორიოდე სულით ავადმყოფნი; ერთი მათგანი იმათ რიცხვშია, ვინც თითქო ხონელებმა აირჩიეს მთავრობის წინაშე საშუამდგომლოთ. მაშ რაშია საქმე? რა უნდა ორი ათას ხელის მომწერს? რას ერჩიან იმ ქალაქის თვითმართველობას, რომლის წინააღმდეგ ინტერპელიანტებმა ერთი საბუთიც კი ვერ მოიყვანეს იმ ქალაქის თვითმართველობის, რომელმაც მოკლე ხანში ხონის მცხოვრებთ მოუწყო ჩინებული საავათმყოფო, ამბულატორია, აფთიაქი, სასურსათო მაღაზია და სხვა? აშკარაა, რომ საქმე ისე არ გახლავთ, როგორც ნაციონალ-დემოკრატები ბრძანებენ. აშკარაა, რომ აქ ბრძოლაა გაჩაღებული არა ხონის ქალაქის თვითმართველობის წინააღმდეგ მარტო, არამედ დემოკრატიულ წყობილებისა და დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები ვერ ინელებენ ამ უკანასკნელს: მათ უძლესად სძულთ და ეჯავრებათ ჩვენი დემოკრატიული და სოციალისტური მთავრობა (ნაც.-დემოკრ. ადგილიდან: მართალია, გვძულს.) გძულთ იმისთვის რომ იგია მუშათა კლასის, დემოკრატიის მთავრობა და არა სპეკულიანტების.

სწორეთ ეს სიძულვილი გიკარნახებთ თქვენი აგენტების საშუალებით ავრცელოთ უსაზიზღრესი ჭორები და ამღვრიოთ წყალი. აქ აშკარათ გამოსჭვივის, ბ-ნო ნაციონალ დემოკრატებო, თქვენი რეაქციონური მისწრაფებანი და ტყვილა ლამობთ მისი მიჩქმალვას ორი ათასი ხელის მოწერით. მერე ვინ შეამოწმა ეგ ორი ათასი ხელის მოწერა? მე ვეკითხები ბ-ნ ასათიანს: შეუძლია კი მას იკისროს იმის პასუხისმგებლობა, რომ ეგ ორი ათასი ხელის მოწერა წესიერათ არის შეკრებილი? ასე მეც შემიძლია წავიდე და ხვალ ოთხი ათასი და მეტიც ხელის მოწერა შევკრიფო. არა, ბატონებო, ამ გზით ვერავინ ფონს ვერ გავა და ვერ შესძლებს ხონელ ყორნების გათეთრებას.

ახლა ორიოდე სიტყვა იმ ორატორების საპასუხოთ, რომლებიც ხონის გამოსვლას რეაქციონურ გამოსვლას უწოდებენ, მაგრამ ადმინისტრატიულათ დატუსაღების წინააღმდეგ კი ილაშქრებენ. აბა ვინ არ იცის, რომ სასამართლოს საშუალებით დასჯა უფრო წესიერია ადმინისტრატიულზე, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში მყოფნი ჯერ-ჯერობით ვერც ადმინისტრატიულ ზომებზე ვიტყვით უარს. უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, რომელთაგანაც არის დამოკიდებული ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამორკვევა, ფხიზლად ადევნებენ თვალ ყურს ყოველივე გამოსვლას და მოძრაობას ჩვენში. ასეთ პირობებში ჩვენ რომ უარვყოთ ადმინისტრატიული ზომები და უცადოთ სასამართლოს განაჩენებს, ჩვენი მტრები არა ერთსა და ორ გამოსვლას მოგვიწყობენ, თავის ბოროტ მიზანს მიაღწევენ და მერე მათი სასამართლოს წესით დასჯა გვიანი იქნება. ჩვენი მთავრობა ამ გზას ვერ დაადგება; იგი ფხიზლათ უდგას დემოკრატიის ინტერესებს და ყოველთვის სასტიკ ზომებს მიიღებს მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს შეუშლის ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობას. ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები კი თავიანთ უაზრო შეკითხვებით ვერავის ვერ დააშინებენ და ვერც ხონელ რეაქციონერებს გაამართლებენ (ტაში).

სპ. კედია აღნიშნავს რომ წარმოდგენილი შეკითხვა მიმართულია ადმინისტრაციის თვითნებობის წინააღმდეგ. სოც. დემოკრატების შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ გონიათ თუ მთავრობის მოქმედებას კრიტიკა გაუწიეს, მაშინ მთავრობა უნდა გადადგესო და ისინი ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში მთავრობის პოლიტიკის დამცველად გამოდიან. ჩვენ სრულიად არ გვაკმაყოფილებს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განმარტება.

კ. ნინიძე. იმ ფრაქციისაგან, რომელმაც ეს შეკითხვა შემოიტანა და რომელიც მუდამ ლაპარაკობს კანონიერებაზე და იურიდიულ ნორმებზე, ჩვენ მოველოდით, რომ ის ისარგებლებდა ამ შეკითხვით ისე, როგორც ამით სარგებლობენ პარლამენტარულ ქვეყნებში. რა მნიშვნელობა აქვს შეკითხვას? შეკითხვა ააშკარავებს მთავრობის პოლიტიკის უვარგისობას და მიუთითებს მას კანონის დარღვევაზე, კერძოთ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ესა თუ ის ზომა არ არის მიზანშეწონილი. ჩვენ ამ „კანონიერების ჯენტელმენებს“ მუდამ ვეკითხებით აქ: დაგვისახელეთ რომელი კანონი დაარღვია მთავრობამო, მაგრამ არც ერთხელ პასუხი არ მიუციათ. (ვეშაპელი ადგილიდან: სად არის კანონი?) არსებობენ დადგენილებანი, რომელიც ჩვენ მივეცით მთავრობას და უთხარით: მოიხმარე ეს წესები ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც წესიერებას არღვევს სახელმწიფოში და ვინც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებს. როდესაც სომხებს და ბოლშევიკებს ეხებოდა საქმე, მაშინ თქვენ მოითხოვდით სასტიკ ადმინისტრატიულ ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ. როცა კი თვითონ თქვენ შეგეხოთ ეს, მაშინ თქვენ კანონიერების ჯენტელმენებმა დაივიწყეთ ის, თუ როგორ აღფრთოვანებით ეგებებოდით წინეთ ამ ადმინისტრატიულ ზომების მიღება. (ხმები: მართალია!)

თქვენ (მიუთითებს ნაც. დემ.) აქ სიტყვით თანაგრძნობას უცხადებთ ჩვენს დემოკრატიულ წყობილებას, პროვინციებში კი თქვენი ამხანაგები პოგრომისაკენ მოუწოდებენ ხალხს. თქვენ,

# დღეს

იაპონური პრესა აღშფოთებულია იმის გამო, რომ ამერიკამ კამჩატკა იჯარით აიღო.

ჰამბურგის ლითონის ჩამომსხმელმა მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ნაჭრობით მუშაობის შემოღება აუცილებელია მრეწველობის აღორძინებისათვისო.

საფრანგეთის გენერალური მთავარი შტაბი 20 ოქტომბერს დაიშლება.

ბალტიის ზღვაში მოკავშირენი გერმანიის გემებს იჭერენ.

ვერსალში ფრანგებმა 12 რუსი ჯარისკაცი დახვრიტეს, რადგანაც ისინი აჯანყდენ იმის გამო, რომ მათ სამუშაოში ცოტას აძლევდენ.

შვეიცარიის მთავრობა ნოემბრის 10 სთვის თათბირს იწვევს ხალხთა ლიგის საკითხის განსახილველად.

ამერიკის ტრედ-უნიონები საერთაშორისო კონგრესის მოწვევის მომხრე არიან.

ვენის მუშათა საბჭო კოალიციონური მთავრობის მომხრეა.

ფინეთის მთავრობამ განიხილა საბჭოთა რუსეთის საზავო წინადადება და დაადგინა, წინადადება მიეცეს სეიმს უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანოს.

მიტავაში გერმანული ადმინისტრაცია რუსებით შესცვალეს. ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული.

ყაჩალთა ბრბოებმა ენისეის ოქროს მაღაროებიდან მუშები განდევნეს; გაგზავნილმა ჯარმა სამრეწველოები დაიბრუნა, მაგრამ იმდენად განადგურებულია, რომ ამ წელიწადში მუშაობის დაწყება შეუძლებელია.

პრინცის კუნძულებზე სცხოვრობს 8000 ზე მეტი რუსეთიდან გაქცეული ბურჟუა.

ლატიშთა მთავრობა რიგაში დაბრუნდა.

ბალტიის პროვინციებიდან სამშობლოსკენ გაემართა გერმანულ ჯარის რამდენიმე ეშელონი.

მოხალისეთა ჯარმა აიღო ქ. ბუტურლინოვკა.

მოხალისეთა ჯარი ქ. ელეცს მიუახლოვდა.

კიევ-ფასტოვის და გატჩინო კრასნოე სელოს რაიონში მკაცრი ბრძოლებია.

საბჭოთა ჯარმა ქ. კრომი დაიბრუნა. (ორიოლის სამხრეთით).

საბჭოთა ჯარმა სადგ. გრაფსკაია დაიბრუნა (ვორონეჟის ჩრდილოეთით).

იუდენიჩის, ბალახოვიჩის და როძიანკოს ჯარები პეტროგრადზე უტევენ.

---

როცა აქ უბრალო საკითხებზე აჩერებთ დამფუძნებელი კრების ყურადღებას, ეს პირდაპირ დანაშაულია ხალხის წინაშე. თქვენ გინდათ დამფუძნებელი კრება გადააქციოთ უბრალო საგამომძიებლო ორგანოთ, ეს შეუწყნარებელი ულოღიკობაა.

როცა მთავრობას დაავალეთ ადმინისტრატიული ზომების მიღება, მაშინ უნდა გცოდნოდათ, რომ აქ სრული ობიექტივობის და იურიდიული ნორმების დაცვა ყოვლად შეუძლებელი იყო. მაგრამ რამ აგიტაცათ თქვენ მაშინ ასე? ცხადია, მაშინ ამ ზომების მიღება საჭირო იყო ბალშევიკების და სომხების წინაამდეგ და თქვენ არ იცოდით, რომ ეს ზომები თქვენს წინაამდეგაც იქნებოდა ხმარებული (ტაში) დიახ, როდესაც თქვენ მთავრობას მიეცით უფლება ადმინისტრატიული ზომებით სარგებლობის, მაშინ თქვენ ამით დაადასტურეთ, რომ ჩვენში განსაკუთრებული მდგომარეობაა ჯერ კიდევ და სანამ ეს მდგომარეობა არ შეიცვლება, მანამ ადმინისტრატიული ზომების მიღებაც საჭირო იქნება. მთავრობას აქ არ დაურღვევია კანონი, მან სწორად და მიზანშეწონილად მოიხმარა ადმინისტრატიული ზომები, რა უყოთ, თუ ეს ზომები ნაც. დემოკრატებსაც მოხვდა. ამიტომ ჩვენი ფრაქცია კმაყოფილია მინისტრის განმარტებით და ავალებს მას შემდეგშიაც მიიღოს უწესოების წინაამდეგ ადმინისტრატიული ზომები. (ტაში).

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ეროვნულ დემოკრატების შეკითხვა მთავრობისადმი ხონის ზოგიერთ მოქალაქეთა დატუსაღების შესახებ და მთავრობის განმარტება, დამფუძნებელი კრება აღნიშნავს, რომ მთავრობის რეპრესიები მიმართული იყო მხოლოდ ისეთ მოქმედების წინაამდეგ, რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული ხალხში უკმაყოფილების შექმნა და უწესოების გამოწვევა, ამის გამო დამფუძნებელი კრება დამაკმაყოფილებლად თვლის მთავრობის განმარტებას და გადადის მორიგ საქმეებზე“.

შემდეგ გრ. ურატაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მუშა მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნების მისაწოდებლათ მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. ამ დეკრეტის გარშემო გაიმართა კამათი. ზოგიერთი ფრაქციები ამ დეკრეტს მწუხარებით შეხვდნენ.

დაწვრილებით შემდეგ ნომერში მოვათავსებთ

## უკანასკნელი ცნობები

**ყაჩაღების შეპყრობა.**

**ოზურგეთი.** ოქტ. 17. 16 ოქტომბერს ნოვოროსიიდან მომავალ გემის „მარიას“ გამძარცველები ფელუგით მოადგნენ სუფსას და გადმოვიდნენ ნაპირზე. პირველი ცნობა ამის შესახებ მიიღო სუფსის რაიონის მილიციის უფროსმა მეგრელიშვილმა, რომელიც მილიციონერებისა და გვარდიელების თანხლებით დაედევნა ყაჩაღებს. ამის შესახებ ცნობა წავიდა მთელი რკინის გზის ლიანდაგზე. ყოველი მხრიდან იქმნენ გამოწვეულნი ძალები. ამოძრავდა მილიცია და გვარდია. დიდი სიფხიზლე და მხნეობა გამოიჩინა თვით ხალხმა. სუფსის, მიქელ გაბრიელის და ჩოჩხათის თემთა ხელმძღვანელები შეიარაღებული ძალებით დაედევნენ ყაჩაღებს. ყაჩაღები შეამწყვდიეს ღამის 11 საათზე სამსონ გორდელაძის სახლში სოფ. სამხთოში. ყაჩაღებმა ორჯელ მოინდომეს გაქცევა, მაგრამ ორივეჯერ იქმნენ სასტიკი სროლით უკან გაბრუნებული. მილიციის უფროსმა მეგრელიშვილმა გამოიწვია ჯავშნიანი მატარებლიდან ერთი ტყვიისფრქვეველი, რომელიც მოვიდა დანიშნულ ალაგას გამთენიოს. ღამის 12 საათზე ოზურგეთის გვარდიას და მაზრის მილიციას მოუვიდა ცნობა გემის გაძარცვისა. მილიცია, კომისარ ღლონტის მეთაურობით, დაუყონებლივ ვაეშურა ჩოხატაურში გზის გადასაჭრელათ. გათენებისას გაეშურნენ აღნიშნულ ალაგას დასახმარებლად ოზურგეთიდან გვარდიის რაზმი და ადგილობრივი ჯარის ნაწილი პოლკოვნიკ აბაშიძის რაზმიდან, მაგრამ ამათ მისვლამდე ყაჩაღები დაატყვევეს. გათენებამდის ნახევარი საათის ადრე ყაჩაღების ბინას მიუშვირეს ტყვიისმფრქვეველი და წაუყენეს ყაჩაღებს ულტიმატუმი. მესამე ულტიმატუმზე ყაჩაღები დანებდნენ უბრძოლველად. მათმა მეთაურმა, ლადო მანწკავამ, ჩააბარა იარაღები და ყაჩაღები თითო თითოთ ჩვენს რაზმს სულ დატყვევებულ იქმნენ 22 კაცი, მათ შორის მარშანიშვილი, მოისრაფეიშვილი, ნიკოლაიშვილი, გუჯაბიძე და სხვები. აყარეს ფულები ნიკოლოზისა და კერენსკისა, ჩემოდნებში და ტომრებში. გაბაწრული ყაჩაღები წამოიყვანეს ოზურგეთში. ხვარბეთში მათ მოუსწრო ოზურგეთიდან გასულმა ერობის გამგეობის თავმჯდომარე ჭანტურიშვილმა და ქალაქის თავმა მურვანიძემ, რომელთა ხელმძღვანელობით ყაჩაღები და ფულები ჩამოიტანეს ოზურგეთში. შეიარაღებულ ხალხს საღამოს გაუმართეს ბანკეტი ადგილობრივ კლუბში. ეს იშვიათი გარემოება იწვევს იშვიათ აღფრთოვანებას ხალხში. ამავე დღეს მაზრის კომისარმა ღლონტმა ჩამოიყვანა ხიდისთავიდან დატყვევებული ბალშევიკი ვარდენ კალანდაძე, რომელიც მოათავსეს ადგილობრივ ციხეში. ფული დაუთვლელია. (ს. დეპ. ს.)

**აჯანყება მთაში.**

3 ოქტომბერს დაღესტანის რაზმმა იერიში მიიტანა (ამავე მხრიდან თემირ-ხან შურაზე. აჯანყებულებმა აყარეს რკინის გზის ლიანდაგი. 4 ოქტომბერს აჯანყებულნი დაბანაკდნენ შურის მახლობელ ბაღებში. ამავე დღეს ქალაქს ზარბაზნებიდან ყუმბარები დაუშინეს აჯანყებულებმა. როგორც იტყობინებიან თემირ ხან-შურა აჯანყებულებს ისევ აუღიათ. („აზ.“)

**პეტროვსკში.**

დაღესტნის ამბებმა დიდი გავლენა იქონიეს პეტროვსკზე. ქალაქის საბჭოს არჩევნებში 3613 ამომრჩეველთაგან მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 498 კაცმა. კასპიის ზღვის ნავოსნობის უფროსის განკარგულებით პეტროვსკის ნავთსადგურებში შესვლა შეიძლება მხოლოდ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

**საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრთან.**

საფრანგეთის საზღვაო-სამხედრო მისიის მეთაურმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი. საუბარის დროს მისიის მეთაურმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას აინტერესებს ადერბეიჯანის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა და სურს კეთილ მეზობლური კავშირის დამყარება. მისიის მეთაურმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა და საზოგადოებრივი წრეები არ იცნობენ ადერბეიჯანის მდგომარეობას. მას თავის მოვალეობათ მიაჩნია, გაუკეთოს საფრანგეთის მთავრობას მოხსენება ადერბეიჯანის მდგომარეობის შესახებ. მინისტრი მიესალმა მისიის მეთაურს და განუცხადა, რომ ადერბეიჯანის ხალხს იმედი აქვს, რომ საფრანგეთი გაუწევს მას დახმარებას და მისიის მეთაური დაარწმუნა, რომ ადერბეიჯანის ხალხი არ დაივიწყებს იმ მორალურ და ფაქტიურ დახმარებას, რომელსაც მას აღმოუჩენენო. („აზ.“)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ზანგეზურის გარშემო.**

აზერბეიჯანის მთავრობის გაზეთი „ადერბეიჯანი“ 17 ოქტომბრის ნომერში მეთაურ წერილში ეხება ზანგეზურის გარშემო ატეხილ დავას ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობების შორის: „ზანგეზურის მაზრა, გაზეთის აზრით, ადერბეიჯანის უდავო ტერიტორიაა, რომელ აზრსაც იზიარებს ინგლისის სარდლობა და პოლკოვნიკი ჰასკელი. ფაქტიური მდგომარეობა და ნეიტრალური სახელმწიფოების აზრიც ადასტურებს ჩვენს პოზიციის სიმართლეს. სომხეთის მთავრობის დახმარებით ზანგეზურში შესდგა სომხების ნაციონალური საბჭო, რომელიც არ არის ცნობილი არც ინგლისელების და არც ადერბეიჯანის მთავრობის მიერ. უკანასკნელი ცნობებით ამ საბჭოს სომხეთის მთავრობამ ოთხი ზარბაზანი გაუგზავნა რეგულიარული ჯარით. და ამისთვის ბრალი არ უძღვის ადერბეიჯანს, რომ ეს მაზრა პოლიტიკურ ინტრიგების ასპარეზათ გადაიქცა. რაც შეეხება ჯარებს, ის გაიგზავნა ზანგეზურში იმ მიზნით, რომ არ დაირღვეს მშვიდობიანობა იქ. ადერბეიჯანის მთავრობა თავის სამხედრო ძალას უყურებს არა, როგორც საშუალება სისხლის ღვრის გამოწვევისას, არამედ როგორც იმ ძალას, რომელიც ააცდენს სისხლის ღვრას. მას (მთავრობას) არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისი მშვიდობის მოყვარული ტაქტიკა და იმედს გამოსთქვამს, რომ, თუ სომხეთის მთავრობა თავს გაანებებს ნაციონალური შუღლის გაღვივების ქსელის დაგებას, მაშინ დარწმუნდებიან, რომ ადერბეიჯანის მთავრობას სურს კეთილ მეზობლური განწყობილება მეზობლებთან და მშვიდობიანი ცხოვრება შინო.“

**დენიკინელები ბათუმის შესახებ.**

ბათუმის შავრაზმელების გაზეთი „ნაშ კრაი“ 17 ოქტ. ნომერში შემდეგს სწერს: „ინგლისის წარმომადგენელი გენ. მილნი ოფიციალურად აცხადებს, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი რჩება დიდ ბრიტანეთის კანტროლის ქვეშ. რანაირადაც გაურკვეველი არ უნდა იყოს ასეთი განცხადება, პრაქტიკამ ინგლისელთა მიერ ბათუმის ოლქის მმართველობისა ათი თვის განმავლობაში საკმაოდ დაარწმუნა ადგილობრივი მცხოვრებლები, თუ როგორ უნდა მივიღოთ ჩვენ ასეთი განცხადება. ცხადია, ეს ნიშნავს არსებულ მდგომარეობის გაგრძელებას ინგლისელთა უფლებებისა და პრეროგატივების გაფართოებით. მაშასადამე ნიადაგი არ აქვს შიშს იმის შესახებ, თითქოს არსებული მდგომარეობა შეცვლილიყოს ვინმე უცხო ძალის სასარგებლოდ. რასაკვირველია, ასეთ განცხადებას ყველა თანაგრძნობით ვერ შეხვდება. ისინი, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ იმედი მიაღწიონ თავიანთ უფლებებს ბათუმზე, ჯერ იარაღს არ დაყრიან და მოელოდებიან „საზავო კონფერენციის დადგენილებას“. ამას კი ჩვენ დამშვიდებით უნდა შევხდეთ, რადგანაც ამას არც კი გაარჩევენ ისე, თუ არ მოისმინეს აზრი და სურვილი რუსეთისა, რადგანაც ბათუმი არის ამ უკანასკნელის ნაწილი. ამიერ-კავკასიის ხალხთა სამართლიანი ინტერესები, რომლებსაც ესაჭიროებათ გასავალი ზღვაზე თავის ვაჭრობისათვის, არ ეწინააღმდეგება რუსეთის გავლენას მცირე აზიაში მით უფრო, რომ ადრე დადგება ის დრო, როცა ჩამოყალიბდება რუსეთის სახელმწიფოს მომავალი ფორმები, რომლის განუყოფელი ნაწილია ყველა ის ოლქები, რომლებზედაც მას განუყოფელი უფლება აქვს“.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 ოქტომბერი.

**მოხალისეთა ჯარის სამხედრო ცნობა.**

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული მთავარ სარდალის შტაბის ოფიციალური ცნობა. (რიცხვი აღნიშნული არ არის.) ასტრახანის მიმართ. ახალი ცნობები არ მოსულა. კამიშინის მიმართ. ორივე მხარეზე მზვერავები ენერგიულად მოქმედებენ. ილოვლის რაიონი. მტერი, რომელსაც დონის მარჯვენა ნაპირი ეჭირა, ტრეხოს ტროვიანსკაიას ჩრდილოეთით, მარცხენა მხარეზე გადავდევნეთ. წამოვიყვანეთ 300 ტყვე და ხელში ჩავიგდეთ 6 ტყვიის-მფრქვეველი. ზემო დონის რაიონი: ჩვენი შეტევა ხოპერზე და ჩრდილოეთით ვითარდება. ჩვენ ბუტურლინოვკა დავიჭირეთ. ვორონეჟის რაიონი, აღმოსავლეთით და სამხრეთ დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. ტულის მიმართ. ჩვენი ჯარი ელეციდან სამხრეთით 20 ვერ. სდგას. ნოვოსილის მიმართ.: მტერი ორიოლიდან მცენსკისკენ იხევს. ქ. კრომის რაიონში ბრძოლაა. სევსკიდან მტერი ჩრდილოეთით გავდევნეთ. გომელის მიმართ. მდგომარეობა არ შეცვლილა. კიევის რაიონი: ფასტოვის და კიევის რაიონში ბრძოლა გრძელდება. მოგილევის მიმართ.: გაისონის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლაა. ჩვენ ქალაქი— კიტი დავიჭირეთ.

**ბალშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი** ოქტ. 17. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელსკენ მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. კოპორის ყურეში გამოჩნდა მტრის ესკადრა. ფინეთის ყურეს ნაპირებში, კრასნაია გორკას დასავლეთით 10 ვერსზე ბრძოლაა. იამბურგის მიმართ. კრასნოე სელოს და გატჩინოს რაიონში ბრძოლა გრძელდება. პსკოვის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით ოცდახუთმეტ ვერსზე ბრძოლაა. ლეპელის რაიონში ენერგიული შეტევით ჩვენ მტერი 30 ვერსით უკან დავხიეთ, ტყვეთ წამოვიყვანეთ 50 პოლონელი ლეგიონერი და ხელში ჩავიგდეთ 1 ტყვიის მფრქვეველი. ლეპელის დასავლეთით ჩვენი შეტევა ვითარდება. კიევის რაიონში ჩვენი შეტევა კარგათ მიდის, მტერს ვსდევნით, დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ჩვენ ქ. კრომი დავიჭირეთ. ორიოლის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ვორონეჟის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტერი მდ. უსმანამდე უკუ აგდო და აიღო სად. გრაფსკაია და ვორონეჟის ახლო რამდენიმე ადგილი. მოწინააღმდეგის დევნა გრძელდება. ბობროვის რაიონში მდ. ოკორეცის ქვედა ნაწილის რაიონში მამაცმა წითელმა ჯარმა მტრის ძლიერი ცხენოსანი რაზმი დაამარცხა, მდინარეზე გადავიდა და მტერს სამხრეთ დასავლეთისკენ სდევნის. პავლოვსკის მიმართ. მდ. ხოპერზე მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

უსტ მედვედიცის რაიონში მტერი მოვიგერიეთ და დიდათ დავაზარალეთ. ურალსკის და ორენბურგის მიმართულებით მზვერავთა მოქმედება გრძელდება. კუსტანაის რაიონში მამაცმა წითელმა ჯარმა დაამარცხა და გაჰფანტა ყაზახთა მე-4 და მე-5 პოლკები და კუსტანაის აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით 70 ვერსზე რამდენიმე ადგილი დაიჭირა. კურგანის რაიონში ჩვენი შეტევა შეუწყვეტლივ ვითარდება. პეტრო პავლოვსკისკენ ჩვენი ჯარი მტერს სდევნის და ბოგოიავლენსკს მიაღწია, ზვერინოგოლოვსკის აღმოსავლეთით, ხელთ იგდო 2 ზარბაზანი, ტყვიის მფრქვეველები, ტრანსპორტი და სხვა სამხედრო დავლა. კურგანის სამხრეთ აღმოსავლეთით 60 ვესზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები და ტრანსპორტი. კოლჩაკის არმიის ენერგიული დევნა გრძელდება. ტობოლის რაიონში მტრის მრავალი იერიში, რომელიც მტერმა ჯავშნიან გემების და ჰიდროპლანების დახმარებით მოიტანა, ჩვენმა ჯარმა მოიგერია, შეტევაზე გადავიდა და მტერს ჩრდილოეთისკენ სდევნის, მდ. ტავდის შესართავის ჩრდილო აღმოსავლეთით 55 ვერსზე რამდენიმე სოფელი აიღო.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ოქტ. 16. პარტიულ კომიტეტში მოდიან მოხალისე ქალები, რომელნიც ფრონტზე გაგზავნას თხოულობენ. ზოგი მოითხოვს მოწინავე ხაზებზე გაგზავნას.

**ველიკიე-ლუკი.** ოქტ. 15. „ბალტიას ვესტნესის“ იუწყება, რომ იაპონური პრესა ძალიან აღშფოთებულია ამერიკის მიერ კამჩატკის იჯარით აღებით.

**ბელოოსტროვი.** ოქტ. 13. ფინეთის სოც.-დემ. კომიტეტმა გამოაქვეყნა პროტესტი მუშების დევნის გამო.

**ბელოოსტროვი.** ოქტომ. 13. გაზ. „კარიალა აამულეხტი“ ბეჭდავს ესტონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალურ ცნობას, რომელიც დასავლეთ ევროპის ყველა გაზეთებს დაეგზავნა: გაზეთების ერთი ნაწილი ერთობ მტრულად უყურებს ბალტიის სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ, რაც ალბად იმით აიხსნება, რომ ისინი ნაკლებად იცნობენ საქმის მდგომარეობას. როდესაც ბალტიის სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის წინადადებას ღებულობდნენ ხელმძღვანელობდნენ იმ პრინციპით, რომელიც მოიწონა საზავო კონფერენციამ პრინცის კუნძულების შესახებ თათბირის დროს, სურდათ სისხლის ღვრის მაგიერ მშვიდობიანობის გზით მიენიჭებინათ ყოველ ხალხისთვის უფლებები, რომლისთვისაც იბრძვიან. რადგანაც საბჭოთა მთავრობა აღიარებს ბალტიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და რადგან უკანასკნელთ სურთ თავისი მიწა-წყალი არ დაკარგონ და არ ჩაერიონ რუსეთის საქმეებში,—ბუნებრივია, რომ მათ არავითარი საბუთი არა აქვთ ომის გასაგრძელებლათ. ბალტიის სახელმწიფოებს უფლება აქვთ, იმედი იქონიონ, რომ ის სახელმწიფონი, რომელნიც არა ერთხელ დაპირდნენ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის აღსადგენათ, მხარს დაუჭერენ ბალტიის სახელმწიფოთა მისწრაფებებს და რჩევას მისცემენ მათ იმ პირობათა შესახებ, რომელთა ასრულებაც უნდა მოითხოვონ მათ მშვიდობიან დამოკიდებულების გასამტკიცებლათ, ამ პირობათა შესრულებას ხალხთა ლიგის ან სხვა გზით უნდა ეცადნონ. გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ უნდა აღინიშნოს, რომ ბალტიის სახელმწიფოები თავის საზღვრების დამოუკიდებლობის დასაცავათ იბრძოდნენ და არა დროს არ ჰქონიათ მიზნათ ბალშევიკურ მთავრობის დამხობა რუსეთში. ამას მიზნათ ისახავს კოლჩაკი და მისი ხელმძღვანელი მთავრობები, რომლებიც არა მალავენ, რომ ბალშევიკების დამხობის შემდეგ მოსპობენ ბალტიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას, ამას მოჰყვება ახალი ომი ბალტიის სახელმწიფოებთან, რაც სასურველი არაა. სწორედ ამას შეუწყობდნენ ხელს ბალტიის სახელმწიფოები, თუ ისე იმოქმედებდნენ, როგორც კოლჩაკს და დასავლეთის მთავრობებს სურთ, რომ მათ განაგრძონ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა რათაც არ უნდა დაუჯდეთ ეს. ვინც ამის მომხრეა, ისინი ყველაზე დიდ საფრთხეს უქადიან ბალტიის სახელმწიფოებს.

**ნაუენი.** ოქტ. 15 ჰამბურგის ლითონის ჩამომსხმელმა მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ნაჭრობით მუშაობის შემოღება აუცილებელია მრეწველობის აღორძინებისთვის.

**ველიკიე ლუკი.** ოქტ. 12. თეთრლატიშელთა გაზ. „ბალტიას ვესტნესის“ ომსკიდან აუწყებენ, რომ ყაჩაღთა ბრბოებმა ენისეის ოქროს მაღაროებიდან მუშები განდევნეს გაგზავნილმა ჯარმა სამრეწველოები დაიბრუნა, მაგრამ იმდენათ განადგურებულია, რომ ამ წელიწადში მუშაობის დაწყება შეუძლებელია.

**ველიკიე ლუკი.** ოქტ. 15. რიგის გაზეთების ცნობით, პრინცის კუნძულებზე სცხოვრობს 8000 ზე მეტი რუსეთიდან გაქცეული ბურჟუა. იქ გამოდის გაზ. „ზარია როსსი“ დოროშევიჩის რედაქციით.

**ნაუენი.** ოქტ. 15. მიტავაში გერმანიის ადმინისტრაცია რუსებით შეცვალეს გენერალ გუბერნატორის მეთაურობით. ამ ადგილზე რუსეთის გვარდიის პოლკოვნიკი შეიდემანი დაინიშნა. ქალაქში საალყო წესები გამოცხადდა.

**ნაუენი,** ოქტ. 16. ინგლისის ნაღმოსანმა ჩრდილოეთის ზღვაში დაიჭირა კენისბერგის ორი გემი ქვანახშირით დატვირთული, რომელიც შტეტინიდან კენინსბერგისკენ მიდიოდა. ქვა ნახშირის დაკარგვა კენინსბერგისთვის დიდი დანაკლისია. **ლიონი,** ოქტ. 16. საფრანგეთის გენერალური მთავარი შტაბი ოქტ. 20 დაიშლება. **ლიონი,** ოქტ. 16. ბელგრადიდან მოსული უკანასკნელი ცნობების თანახმად, სერბიის პრინც რეგენტმა მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს პაშიჩს დაავალა შეადგინოს ახალი მთავრობა:

**ნაუენი.** ოქტ. 16 „ტაიმს“-ის ბუდაპეშტის კორესპონდენტი იუწყება, რომ კანცლერმა რენნერმა ინგლისის გზათა მინისტრთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ქვეყნის ცუდი ფინანსიური მდგომარეობის გამო ფიქრობს მთავრობა— მთელი ტერიტორიის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ქონება დააგიროს.

**ნაუენი.** ოქტ. 15 ფინეთის ყურეში ინგლისელებმა დაიჭირეს და რეველში წაიყვანეს გერმანიის სამი გემი.

**ნაუენი.** ოქტ. 16. ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ფინეთის მთავრობამ განიხილა საბჭოთა რუსეთის საზავო წინადადება და დაადგინა წინადადება მისცეს სეიმს უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანოს.

**ველიკიე ლუკი.** ოქტ. 15. თეთრლატიშთა გაზ. „ბალტია ვესტნესის“ იუწყება, რომ ლოძში კომუნისტური მოძრაობა დღე და დღე იზრდება, რასაც ხელს უწყობს პოლონეთში გავრცელებული უმუშევრობა. ვარშავაში 100,000 უმუშევარია, ამდენივე ლოძში, კალიშში—12,000, მიუხედავათ ამერიკიდან სურსათის მოზიდვისა, სურსათის სიმცირე ძლიერდება. მთავრობა შემოდგომისთვის უწესოებას მოელის, მაგრამ იმედი აქვს, რომ ჯარის დახმარებით მას ჩააქრობს.

**მოსკოვი.** ოქტ. 17. ჩრდილოეთ დასავლეთის ფრონტზე იუდენიჩი, ბალახოვიჩი და როძიანკო პეტროგრადზე უტევენ.

ესტონიის პროფესიონალური კავშირების ყრილობა შეუერთდა ესტონიის მთავრობის მიერ დაშლილ პროფ. კავშირების რეზოლიუციას. ჯარი მუშების სახლს გარს შემოერტყა. გერმანიიდან იუწყებიან, რომ სათბობი მასალის უქონლობის გამო სკოლებში მეცადინეობა შესწყდა. ლატიშთა მთავრობა რიგაში კვირას დაბრუნდა. რიგაზე რუსეთის გერმანელ თეთრგვარდიელების იერიშები გრძელდება.

**ჰელსინგფორსი** ოქტ. 15. პარიზიდან იუწყებიან, რომ ვერსალში ფრანგებმა 12 რუსი ჯარისკაცი დახვრიტეს, რადგან ისინი აჯანყდნენ იმის გამო, რომ გერმანელი სამხედრო ტყვეები სამუშაოში ღებულობენ 75 სანტიმს, რუსები კი იმავე სამუშაოში მხოლოდ 25 სანტიმს იღებენ.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ბალტიის პროვინციებიდან სამშობლოსკენ გაემართა გერმანულ ჯარის რამდენიმე ეშელონი.

შვეიცარიის მთავრობა ნოემბრის 10 თვის თათბირს იწვევს ხალხთა ლიგის საკითხის განსახილველად.

რადგან სამგზავრო მატარებლის რიცხვი შემცირდა, რურის ოლქიდან ნახშირის შემოტანა გაუმჯობესდა.

პარაგვიაში იყიდეს მიწები გერმანელ ემიგრანტების დასასახლებლად. შესაფერი ადგილები იყიდეს კოლონიზაციის მიზნით, სოციალისტური სისტემის თანახმად, როგორც პარაგვიაში, ისე ჩრდილოეთ არგენტინაში. ორივე მხარე ამ დაწყებულ საქმეს მხარს უჭერს.

უკანასკნელ ცნობებით, ოქტომბრის 16 ქ. რიგას ახლო მოტანილი იერიში მოგერებულია. ქალაქის მიდამოებს ეხლა მძიმე ზარბაზნებს უშენენ.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ამერიკის ტრედ უნიონები საერთაშორისო კონგრესის მოწვევის მომხრე არიან. „ფორვერტს“-ი სწერს, რომ ეს ცნობა რწმენას გვართმევს კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობისას.

ვენაში მუშათა საბჭომ განაცხადა, რომ ამ ჟამად ავსტრიაში შეუძლებელია მუშათა კლასის მეფობაც და ბურჟუაზიის მეფობაც, და რომ ამიტომ ეხლანდელი კოალიციონური მთავრობის მხრის დაჭერა აუცილებელია.

## ადერბეიჯანში

**მუშათა კონფერენცია.**

12 ოქტომბერს, ბაქოში შესდგა მუშათა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 327 დელეგატი. სხდომის დასაწყისს ფეხზე ადგომით აღნიშნეს დაღუპულ მუსევის და ალიევის ხსოვნა. მოისმინეს მოხსენება ყაზახის მაზრის გლეხთა ყრილობის მუშაობის შესახებ. მიიღეს უკამათოდ რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ კონფერენცია ესალმება ადერბეიჯანის მშრომელ ხალხის სურვილს—განთავისუფლდეს მემამულეების და კაპიტალისტების უღლისაგან. შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება კონფერენციის პრეზიდიუმის შესახებ. ცხარე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ნდობას უცხადებენ პრეზიდიუმს. დასასრულს მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები და მოისმინეს მოხსენება ტელეფონის მუშების გაფიცვის შესახებ.

**საფრანგეთის მისიის ჩასვლა.**

ბაქოში ჩავიდა საფრანგეთის სამხედრო მისია და საფრანგეთის რესპუბლიკის ვაჭარ-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი.

**დახმარება ლტოლვილებს.**

ადერბეიჯანში ერევნიდან, ზანგეზურიდან და დაღესტნიდან მრავალი ლტოლვილი მოდის. ამ ჟამად 300 ათასი ლტოლვილია, ამიტომ „მუსავატის“ პარტიამ დაადგინა მოეწყოს ინტერნაციონალური კომისია, რომელიც დახმარებას აღმოუჩენს ლტოლვილებს. პარტიამ მიანდო რასულ ზადეს გამართოს მოლაპარაკება ამის შესახებ საქველმოქმედო საზოგადოებების და სხვა პარტიებთან.

**საზღვრების დაცვა.**

ფინანსთა მინისტრი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, მიიღოს ზომები საზღვრების დასაცავათ, რომ კონტრაბანდათ საქონელი არ გაიტანონ ადერბეიჯანიდან სომხეთისაკენ. ფინანსთა მინისტრს საჭიროთ მიაჩნია აგრეთვე სპარსეთის საზღვართან პოლიციელთა რიცხვი გამრავლებულ იქნას. თავის მოხსენებაში მინისტრი აღნიშნავს, რომ ადერბეიჯანის საზღვრებიდან დიდ ძალი ხორბლეულობა გააქვთ სხვა ქვეყნებში და ეს კი იწვევს ადერბეიჯანში პირველ საჭიროების საგნების გაძვირებასო.

## ახალი ამბები

✦ **მთავრობის დადგენილებით** რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლათ ამერიკაში იგზავნება დავით დავითის ძე ღამბაშიძე.

✦ **რესპუბლიკის** მთავრობის წარმომადგენლათ ყუბანში იგზავნება—საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დიომიდე თოფურიძე და გენერალი ოდიშელიძე.

✦ მთავრობამ დაადგინა: 1) რესპუბლიკის სატარიფო პალატის შუამდგომლობა რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა-

...ის სურსათ სანოვაგის ფონდის დაარსების შესახებ პრინციპიალურად მოწონებულ იქნას.

2) დაარსდეს კომისია შრომის (თავმჯდომარე), ფინანსთა, გზათა და სახელმწიფო კონტროლის უწყებათა წარმომადგენელთაგან, რომელსაც დაევალოს შეიმუშავოს პირობები და წესი ხსენებაში აღნიშნულ საქმის განსახორციელებლათ.

— თანახმათ შრომის მინისტრის მოხსენებისა დადგენილ იქნა, პროექტი დეკრეტისა მთავრობის განკარგულებაში 50 მილ. მანეთის გადადებისა სახელმწიფო დაწესებულებების მუშა მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნების მისაწოდებლათ, მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფ. კრებას.

**რკინის გზელების ყრილობაზე** გასაგზავნ დელეგატების არჩევნები უკვე მოხდა 17 ოქტომბერს მე—7 რაიონში. 11 კაციდან ს. დ. სიამ გაიყვანა 10 კაცი.

**დუშეთის მაზრის გენერალ-გუბერნატორათ** დაინიშნა პოლკოვნიკი ვიქტორ ნიკოლოზის ძე ინწკირველი.

**ქართული დრამა.** დღეს დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის თაოსნობით შესდგება განსაკუთრებული კრება საქართველოს დრამატიულ ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობის გამოსარკვევათ.

**კაპელას კონცერტი.** ორშაბათს, სახალხო სახლში გაიმართება ქართ. მუს. საზ ბის და საქ. კოოპ. კავშირის კაპელას კონცერტი. დასაწყისი სრულ 8 საათზე, ფასები სახალხოა.

**სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის მეხუთე განყოფილებაში დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ევ. ალშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი.“ 2) ს. მესხი „სამშობლოს აღწერა.“

**დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოების** გამგეობამ მიიღო 31,000 მ. ფაბრიკანტების და მექარხნეების საზოგადოებისგან.

**ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა** აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს კავშირის წევრებს, რომ მან წარუდგინა სატარიფო პალატას მოთხოვნილება გასინჯულ იქნას მოსამს. ჯამაგირების ტარიფები და შეფარდებული იქნან ისინი პირველ მოთხოვნილების საგნების ფასებთან. ამავე დროს მან აღუთქვა სატარიფო პალატას სრული დახმარება 100 მილ. ფონდის დაარსებაში მოსამსახურეთათვის სურსათების მისაწოდებლად.

**ახალი წიგნი.** ქ. ქუთაისში გამოვიდა კ. მ. კანდელაკის ალგებრულ მოცანათა კრებული, ნაწ. II, გამოცემა „მომავალი“-სა.

**ხელზე მოსამსახურეთა კავშირის** გამგეობა აცხადებს, რომ ის უმუშევრები, რომლებიც 25 ოქტომბრამდის არ გამოცხადდებიან კავშირის ბინაზე რიგიდან ამოიშლებიან.

**თფ. ხელზე მოსამსახურეთა კავშირი** ამით აცხადებს ყველა სასტუმროებში, საყავეებში და სხვა ამგვარ დაწესებულებებში მომუშავეთა საყურადღებოთ, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში ყველამ გადაიხადოს მათზე დარჩენილი საწევრო გადასახადი, აგრეთვე ყველა არა წევრი უნდა სამი დღის განმავლობაში ჩაეწეროს კავშირში, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ერთი, ისე მეორე იქნებიან პასუხისგებაში მიცემული 14 იანვრის 1918 წლის დეკრეტის ძალით.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს 5 საათზე, სახელმწიფო უნ. I აუდიტორიაში შესდგება სოც. დემოკრატ სტუდენტთა საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.

— ორშაბათს, 20 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— სამშაბათს, საღამოს 6 ნახ. ს. დანიშნულია 4-რაიონის ქალთა ორგანიზაციის კრება. (4 რაიონის მუშათა კლუბში) ლექციას წაიკითხავს დღევანდელ მომენტზე ივ. გომართელი. ამხანაგებს ვთხოვთ კრებას დაესწრონ.

— დღეს, დილის სრულ 10 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონის საფინანსო კომისიის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, დილის 10 საათზე დანიშნულია საგანგებო კრება ს. ს. დ. მ. პ. მე-7 რაიონულ კოლექტივისა.

— დღეს, დილის 10 საათზე, ცეკას ბინაზე (საპიორის ქ., ეფრეიტორის ტუპიკი, № 2) დანიშნულია ყველა ს. დ. სტუდენტთა საერთო კრება სერიოზულ კითხვათა გასარჩევათ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ახალგ. მარქს. ორგ. ცეკას და საკონტროლო კომისიის შეერთებული კრებაა დანიშნული.

— დღეს, დილის 11 საათზე, დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის (1, 2, 3 კურსის) საზოგადო კრება პირველ აუდიტორიაში.

— თფილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების დელეგატთა კრება, რომელიც დანიშნული იყო 12 ოქტომბერს და არ შესდგა, დანიშნულია ხელმეორედ 19 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში და ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

— დღეს, სად. 4 ს. ავლაბრის სახ. უნივ. შენობაში, (კახეთის ქ № 1) შესდგება მეშვიდე კომისარიატის მცხოვრებთა (ავლაბარი) საერთო კრება, რომელიც მოწვეულია სანიტარული მზრუნველობის თავმჯდომარის მიერ, კრების მოწვევის მიზანია ავლაბრის რაიონის სანიტარული საბჭოს არჩევა.

— დღეს, დილის 10 ს. ნაძალადევის აუდიტორიაში დანიშნულია კრება თფილისში მყოფ ყველა რაჭველ ლეჩხუმელებისა.

— დღეს, დილის 10 საათ. შესდგება ჩუღურეთის ახალგაზრდა მარქსისტთა მორიგი კრება.

— დღეს საეპარქიო გიმნაზიის შენობაში, დილის სრულ 11 ს. დანიშნულია მშობელთა და მზრუნველთა საზოგადო კრება. სთხოვენ ყველა მშობლებს აუცილებლივ დაესწრნენ აღნიშნულ კრებას.

— დღეს ცენტრალურ კლუბში, დილის 10 საათზე, დანიშნულია მუშათა კლუბების კონფერენცია.

# სიმონ ხუხუნაიშვილის ხსოვნას

ძვირფასო მეგობარო სიმონ! დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მე შენ გაგიცანი ქ. ფოთში. 8 თებერვალს 1919 წელს, როდესაც შენი ბათალიონით იყავი ჩამოსული სოჭისკენ ზღვით გასამგზავრებლათ, შავი რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველათ, ზღვით მგზავრობა არ მოგიწია, ვინაიდან ზღვა ძლიერ ღელავდა. შენ დაგაბრუნეს ახალსენაკში, რომ აქედან ფეხით წასულიყავი. მეორე დღეს, 9 თებერვალს, ფოთის გვარდიაც სენაკში იქნა გამოგზავნილი და აი, აქ სწორედ ჩვენ ფოთელები დავრჩით მიწერილი შენს ბათალიონზე. აქედან უფრო დაგიახლოვდი და გაგიცანი საკმარისად, ვინაიდან ხშირად მიწევდა შენთან საქმეებისათვის მომართვა, როგორც როტის უფროსთან. თუ როგორი მოგზაურობა მოგვიწია ჩვენ სენაკიდან სოხუმამდე, თუ როგორი დღეები იყო, ეს მხოლოდ შეუძლია ოხვრით მოიგონოს იმათ, ვინც შენთან ერთად მიდიოდა და ვინც უფრო დაახლოვებულია ასეთ მოგზაურობასთან.

ამ მგზავრობის დროს შენ კი, სულ წინ მიდიოდი და გაიძახოდი: „აბა ამხანაგებო არ ჩამორჩეთ, ერთი დღის ჩამორჩენას შეუძლია საქმე შეაფერხოსო“. ყოველ შენ დაძახებაზე გვარდიელები სიხარულით მოგდევდნენ უკან და სიმღერასაც შემოსძახებდნენ, თუმცა ერთობ სველი იყვნენ წვიმისაგან, ასეთი მგზავრობა მოგვიწია მდინარე ბზიბამდე, მივედით ბზიბზე, აქაც შენ ყველაზე უწინ წახვედი და დაათვალიერე პოზიცია, შემდეგ დაგვიბარე ყველა უფროსები და პოზიციების გაცნობის შემდეგ ჩაგვაბარე ჩვენ ჩვენი რაიონები. აქ ჩვენ მოგვიხდა ორ თვეს დგომა. ამ ორი თვის განმავლობაში შენგან არავის ცუდი არ გაუგონია. ხშირად ფოთელებს უთქვამთ ჩემთვის, რა საყვარელი ადამიანი გვყავს ბათალიონის უფროსიო, რაც შეუყვარდი აგრე შენ ფოთელებს, რით ავხსნა არ ვიცი, მხოლოდ ამას კი ვიტყვი, რომ შენში ხედავდნენ სპეტაკ ადამიანს, 15 აპრილს მოგვივიდა შენ ბრძანება, რომ ბათალიონისათვის თავი მოგვეყარა, და წინ წაგვეყვანა, რაც შენ ნახევარი საათის განმავლობაში სისრულეში მოიყვანე.

საათის 8 იქნებოდა საღამოს, როცა ადგილიდან დავიძარით და შევუდექით მთას მდ. ბზიბის მარჯვენა მხარეს, ღამე იყო ბნელი, რამაც იმოქმედა ჩვენს მოქმედებაზე, ვიარეთ სამი თუ ოთხი საათი იმ მთით. ბოლოს როგორც იქნა მივედით იმ ალაგს, საიდანაც უნდა გადავსულიყავით მეორე ნაპირზე. მივიღეთ შენგან ბრძანება, რომ ამ ღამეს აქ ვრჩებოდით და ხალხმა მოისვენა, მაგრამ მოსვენება, როგორ შეიძლებოდა დრო გამოშვებით წვიმდა. შენ მოირბინე ჩვენთან და შემოგვძახე, ამხანაგებო, გამაგრდით, ეს არაფერია მეც თქვენთან ვარ ერთადო. ის ღამე ისე გავათენეთ, მეორე დღეს 16 დავიწყეთ ჯარის გადაყვანა ყუთებით ორ ორი კაცისა, რამაც გასტანა მეორე დღემდე მთელი დღე და ღამე მოუსვენარი მუშაობა იყო, მუშაობდენ ამხანაგი ვალიკო, ალექსანდრე და შენც. შენი წვრილი ხმით გასჭყიოდი, დარბოდი და ყოველივე ღონეს ხმარობდი, რომ როგორმე მალე გადაგეყვანა შენი ბათალიონი მეორე ნაპირზე. როგორც იქნა 17 ს დილით გადავიდა ბათალიონი მეორე ნაპირზე უკანასკნელად გადმოვედი მე ჩემი როტით, შენ კი წინანდელ გადასულებით მიდიოდი წინ, ზევით აღმართში.

მიდიოდით ელვის სისწრაფით და ვერ გვწვდოდით. ჩვენმა სიარულმა გასტანა ხუთი საათ ნახევარი, ვინაიდან მაღლობი იყო 7800 ფუტი საღამოს ჩამოვედით გაგრაში, სადაც დავბანაკდით მინდვრათ დაწოლისთანავე ყველა მიეცა ტკბილ ძილს, ყველა თავს გრძნობ და კარგს საწოლში ისვენებდლი იყვენ, ეს ძილი იყო ისეთი ტკბილი, რომ ბევრს ეხლაც ახსოვს, 18 ს დილით ყველანი შეუდგენ ქალაქის დათვალიერებას აქ დავრჩით 3 მაისამდე.

სამს მაისს მოვიდა შენი ბრძანება, რომ როტა თერთმეტი საათისთვის მზათ ყოფილიყო, რაც შესრულებული იქნა. 11 საათზე და 15 წუთზე, ბათალიონი დაიძრა გაგრიდან, წინ მიგვიძღოდენ ბათალიონის დამაარსებელნი ვალიკო, ალექსანდრე და მათთან ერთად შენც, როგორც ხელმძღვანელი.

თუ როგორ პირობებში მოგვიხდა მოქმედება და თუ როგორი მთები გადავედით, მე ამას არ ავწერ, ვინაიდან ამხ. ვალიკომ აღწერა „ერთობის“ № 205-ში მართლაც ბათალიონი ცოტა ხნის შემდეგ დანიშნულ ალაგას მივიდა. სოფელ ვისემ—ში შენი ბათალიონი ერთი თვის განმავლობაში მტრის მჯღრავებთან სროლაში იყო, მაინც უკლებლათ ჩამოიყვანე ბათალიონი მოსასვენებლათ გაგრაში. აქედან რამოდენიმე დღით გაგიშვეს სახლში. შემდეგ შენ ჩვენთან არ მოსულხარ. შენი სახლში ყოფნის დროს თუ რა ცვლილება მოხდა ბათალიონში, როცა ჩამოხველი დაგხვდრეს. სასიამოვნო იყო თუ არა სასიამოვნო, ის შენ იცოდი: და სწორეთ ამანაც გამოიწვია ყოველივე ის, რისიც მოწმე გავხდით ჩვენ. აქაურობას იქაურობა არჩიე. კარგი. მხოლოდ ამას კი გეტყვი, რომ თუმცა შენ დიდი ხანი არ იყო რაც რუსეთიდან ჩამოხვედი და დაიწყე სამსახური საქართველოს ჯარში, მაგრამ ამ მოკლე ხანში საკმარისად დაიმსახურე ყველასაგან სიყვარული, შენი ვაჟკაცობისათვის და გაბედულებისათვის.

ამხანაგო სიმონ, შენი ხსოვნა ჩვენს გულში არ აღმოიფხვრება, სანამ ცოცხლები ვიქნებით.

ვალოდია პაიჭაძე.

# რაჭას შიმშილი მოელის

სურსათის ნაკლულოვანებას, ცოტათ თუ ბევრათ, რესპუბლიკის თითქმის ყველა მაზრები განიცდიან, მაგრამ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება წელს რაჭის მაზრა. ყველამ იცის, რომ რაჭას, ადგილის სიმცირის გამო, ნახევარი წელიც არ ყოფნის თავის მოსავალი, რაც უნდა კარგი მოსავლიანი წელიწადი იყოს.

ამ უკანასკნელ წლებში სურსათის სიმცირემ, წლევანდელმა ძალზე მოუსავლიანმა წელიწადმა, რომელიც არ ახსოვს ღრმა მოხუცებულთაც კი, და მამისონის უღელტეხილის დაკეტვამ, საიდანაც ასი ათას ფუთობით სურსათი გადმოდიოდა, საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა მაზრის მცხოვრებნი და მის სათავეში მდგომი ჯერ კიდევ სუსტი ერობა.

წლევანდელი წელიწადი მაინც განსაკუთრებულია რაჭისთვის: ჯერ გაზაფხულის საშინელმა წვიმებმა, რომელთაც გასტანეს ივნისის პირველ რიცხვებამდე, მთლად ამოალპო ყველაფერი; მერე უცებ დაიჭირა საშინელი სიცხეები და ორი თვის განმავლობაში წვეთი ნამი არ გადმოვარდნილა, რამაც გაახმო ყველაფერი გაზაფხულის წვიმების გამო პურები მთლად გაბალახდა და ბევრგან მოსათიბი შეიქმნა, ზაფხულის სიცხეებმა და გაზაფხულის წვიმებისგან დაჭირიანებულ სიმინდებს უცბათ მოუჭირა სიცხემ და არ მისცა საშუალება ტაროს გაკეთებისა ისე აახმო, ვენახებსაც უცბათ მოსულმა სიცხემ მტევნები შეახმო ვაზებს. ასე რომ, არც ერთი მოსავალი არ იყო ისეთი, რომ გაენახევრებინა მაინც, ბევრგან სათესლეც არ მოსულა.

აშკარაა დღესვე, თუ რა მოელის მაზრას, მიუხედავათ იმისა, რომ ეხლა შემოდგომაა და მთელი წლის მოსავალი გლეხს ბეღელში და ნალიაში უნდა ჰქონდეს, თქვენ ხშირათ შეხვდებით ისეთ მცხოვრებს, რომელსაც ერთი თვის სარჩოც არ მოსვლია და დღესვე დახეტიალობს დღიურ საკვების საშოვნელათ.

და თუ ეხლა, ამ შემოდგომაზე, ათასობითაა ასეთი მოხეტიალე, რა იქნება მომავალ გაზაფხულს, ან ზაფხულში, როცა მთელი მცხოვრებნი ზამთრის შემდეგ მთლად უსურსათოდ დარჩებიან, ამას აქედანვე უნდა მიექცეს ყურადღება.

რაჭას უმთავრესად სურსათს აწვდიდა ჩრდილო კავკასია. მამისონის უღელტეხილით შარშან ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი სიმინდი და პური გადმოვიდა. ზემო რაჭა არა მარტო სიმინდსა და პურს ღებულობდა, იგი სხვა ეკონომიური კავშირითაც იყო გადაჯაჭვული კავკასიის მთებ გადაღმა მდებარე მდიდარ კუთხეებთან: მალყალ-დიგორ ალაგირთან. ამ ადგილებიდან მოჰყავდათ მსხვილი და წვრილი საქონელი, შალეულობა და მატყლი. ბევრი ზემო რაჭველი ამით იბრუნებდა ხელს. წელ', მამისონის უღელტეხილზე შექმნილ ფრონტის გამო და დენიკინის ბლოკადამ, რაჭველებს ეს უმთავრესი ცხოვრების წყარო დაუხშო.

ყველა ამ უბედურებასთან ერთად რაჭველ მცხოვრებთ წელს თავს დაატყდათ კიდევ ერთი დიდი უბედურებაც, რომელმაც დიდი ხნობით გასტეხა წელში მცხოვრებნი. ეს მაზრაში მოდებული საქონლის ჭირია, რომელიც მუსრს ავლებს მსხვილ და წვრილფეხა საქონელს. რაჭველი მკაცრ ბუნებასთან ბრძოლაში წარმოუდგენელია ერთი და ორი უღელი ხარი რომ არ ჰყავდეს. ჭირმა ეს უკანასკნელი ოჯახის ბოძიც გამოაცალა. ბევრი გლეხი შემხვედრია თვალ ცრემლიანი და შემოუჩივლნია: „რა უყოთ რითი ვარჩინო წვრილი ცოლშვილი, ხარები და ძროხა დამეხოცა, სიმინდი სასყიდელი მაქვს, ცოლშვილი შიმშილით მეხოცება, არ ვიცი რა წყალს ვეწიოო“ მართლაც, სტატისტიკური ცნობებით მაზრას რამდენიმე ასეულ მილ. ღირებული საქონელი დაეხოცა და როდის უნდა აინაზღაუროს ეს ეკონომიური დანაკლისი მასთან არც ახლაა საშუალება ზოგიერთი სოფლები მაინც გადარჩენ ამ უბედურებისაგან, სადაც ჯერ ჭირი არ გაჩენილა. ერთად ერთი საშუალებაა თავის დროზე აცრა, მაგრამ საუბედუროთ ასაცრელი შრატი არ იშოვება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ხელი შეუშალა იმ შრატის დამამზადებელ სადგურს, რომელიც ერთად ერთია კავკასიაში და ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადად-გადმოდის და ჯერაც ვერ დაუმზადებია წამალი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ვინც კარგათ იცნობს რაჭის ეკონომიკას, ის დამეთანხმება, რომ მაზრიდან არაფერი არ გამოდის გასასყიდი, მოწყვეტილი რკინის გზებს, შეტანაც ძნელი ხდება და რაჭველიც თავის თავად არამც თუ ჰყიდის რამეს, პირიქით მას ყველაფერი სასყიდელი აქვს. და დღევანდელ პირობებში კი, ცუდ მდგომარეობაშია ის, რომელსაც ყველაფრის ყიდვა უხდება და არაფერს ჰყიდის. რაჭაში ხშირათ შეხვდებით გლეხს, რომელიც ფულის სასესხებლათ დაიარება და ვერ მოუხერხებია. ეს გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: ყველას მოეხსენება, რომ მაზრის თითქმის ყველა ოჯახის მუშა-ხელი გარეთ გადიოდა სამუშაოთ და მოგებული ფულით არჩენდნენ ოჯახს. რაჭველ კაცს ნახავდით, არამც თუ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში, არამედ ბევრი ზემო რაჭველი ამერიკაშიაც მიდიოდა რამდენიმე წლით ფულის მოსაგებათ. დღეს ომის და რევოლიუციის მიერ შექმნილ პირობების გამო, ვინც კი შესძლო და მოახერხა, თავის კერას დაუბრუნდა და ახლა არ აქვთ საშუალება შესაფერი სამუშაო იშოვონ რესპუბლიკის საზღვრებში; ჩვეულებრივ დროს კი მთელი ზამთარი დაცლილი იყო მაზრა მუშა ხელით, ერთის მხრივ იგინი ოჯახს არ აწვენენ სარჩენათ და მეორეს მხრივ გარეთ წასულნი ოჯახის დასაკმაყოფილებლათ ფულს გზავნიდნენ. დღეს რაჭის მაზრის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა უკვე განიცდის და სცდას საშინელი უმუშევრობის წინაშე, რაც უსპობს საშუალებას თავისივე შრომით გამოჰკვებონ თავისი ცოლშვილი.

ამ დიდ კითხვის რადიკალურათ გადაჭრა დღევანდელ პირობების გამო, არც ერობას, თავის სუსტი ფინანსებით, არც მთავრობას, ვერ შეუძლია. დარჩენილა მეორე გზა, ესაა შემსუბუქება მათი გაჭირვებისა იაფფასიან სურსათის მოწოდებით.

ამ მხრივ ერობამაც და მთავრობამაც ახლავე უნდა მიიღონ შესაფერი ზომები. გლეხს, რომელსაც აქვს ახლად მოსული ერთი და ორი თვის სარჩო, ის ამ ჟამად არაფერს ფიქრობს, მას თავი ყოველთვის სხვის საზრუნველად მიაჩნია. დადგება ზამთარი, გზები შეიკვრება და თუ ეხლავე არ იქნა შეტანილი ზამთრისთვის საჭირო სურსათი, ადგილობრივი ერობა, ისე მთავრობა, საშინელ კატასტროფის წინაშე დადგება.

ამასთანავე ახლავე სურსათის შეძენა გაცილებით უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე გაზაფხულზე. ჩვენ ვერც გერმანიის, ვერც ინგლისის და ვერც იტალიის შემოსვლამ ამ მხრივ ვერ გვიშველა. საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის სურსათის სამართლიანად განაწილება. ის თანხა (700,000 მ.), რომელიც მთავრობამ ერობას გადასცა ამ მიზნისთვის, ძალიან ცოტაა. ამით ერობამ მხოლოდ 5 ვაგონი სიმინდი შეიძინა, ამდენივე თვითონ მოახერხა, მაგრამ დამშეულ მაზრას ეს არ ეყო ონში მოსული ერთი ვაგონი სიმინდი ორ სამ დღეში ორ ორ, სამ სამ ფუთობით გააქვთ ხალხს. ამასთანავე მთავრობამაც და ერობამაც უნდა მიაქციოს ყურადღება სურსათის მისატან საშუალების გაუმჯობესებას. აუცილებელია ონს და ქუთაისს შორის გზის რადიკალურათ შეკეთება და მასზე საბარგო ავტომობილების ამუშავება, თორემ ფუთი სიმინდის მიტანა უჯდება ერობას 40 მ., რაც აძვირებს ისედაც ძვირ სურსათს.

დაეხმარეთ რაჭას, რომ მას შიმშილი ასცდეს.

შაქრო ხიდისკარელი.

# სატარიფო პალატაში

(მუშებისა და მოსამსახურეთათვის დამხმარებელ ფონდის დაარსების გამო).

სატარიფო პალატამ 9 ოქტომბრის სხდომაზე მიიღო ფრიად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

ამ გადაწყვეტილების ძალით ყველა სამრეწველო დაწესებულებანი (სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო), რომელთაც კი მოეპოვებათ თუნდ ერთი მუშა ან მოსამსახურე, ვალდებული არიან ორი კვირის ვადაში გადაიხადონ კაცის თავზე 1000 მანეთი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დასახმარებელ ფონდის დასაარსებლად.

ეს ფონდი უნდა დაარსდეს სატარიფო პალატასთან საგანგებო ბიუროს ხელმძღვანელობით და მოხმარდეს მუშებისა და მოსამსახურეების უფრო მწვავე და აუცილებელ საჭიროებებს, როგორც მაგ. იაფ ფასებში პურის ყიდვას, მანუფაქტურის და ფეხსაცმელების შეძენას და შეშის დამზადებას.

ამ ფონდით ისარგებლებენ მხოლოდ მუშები და მოსამსახურეები: სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებებისა.

შეძენა და ყიდვა, როგორც სანოვაგისა, ისე სხვადასხვა საქონლისა მოხდება უკვე არსებული ორგანიზაციების საშუალებით. გაწესრიგება კი უნდა მიენდოს ახალ ორგანიზაციას, რომელიც ამ მიზნით უნდა შეიქმნას მუშებისა და მოსამსახურეებისაგან სპეციალური დანიშნულებით.

ინიციატივა ფონდის დაარსებისა ეკუთვნის სატარიფო პალატის მუშათა სექციას, რომელმაც წინადადება მისცა სატარიფო პალატას, რათა მას, როგორც ავტორიტეტიან ორგანოს დასტური დაედვა მუშათა და მოსამსახურეთა სამართლიანი მოთხოვნილებისათვის და აღეძრა შუამდგომლობა, როგორც მთავრობასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ისე კერძო მწარმოებლებთანაც ასეთი ფონდის დაარსების შესახებ.

მუშათა სექციამ წამოაყენა ეს კატეგორიული მოთხოვნილება და განუცხადა სატარიფო პალატას, რომ ეს არ არის უბრალო სურვილი ან დეკლარაცია, რომ ის (ე. ი. მუშათა სექცია) ყველაფერ ზომებს იხმარს, რაც კი მოიძებნება მის განკარგულებაში, რომ ეს მოთხოვნილება ცხოვრებაში იქნეს გატარებული, რათ მან რაც შეიძლება მალე მიიღოს განხორციელება:

მუშათა წარმომადგენლებმა აღნიშნეს ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც დღეს მუშები იმყოფებიან ცხოვრების საზღაპრო სიძვირის გამო. მათ განაცხადეს, რომ მუშები განიცდიან შიმშილს, წყურვილს, რომ ისინი შიშველტიტვლად ხვდებიან ზამთარს.

მათ მოითხოვეს პალატისაგან შესრულება იმ დაპირებებისა, რომელიც მას მიუძღვის მუშათა კლასის წინაშე. სატარიფო პალატამაც სამართლიანად სცნო მუშათა სექციის მოთხოვნილება და ერთხმად მიიღო მისი წინადადება.

ბევრი ეცადენ კერძო მწარმოებელთა წარმომადგენლები აეცდინათ თავიდან ამ ფონდის გადასახადი და მოეხვიათ ის თავზე მთლად მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს გახდნენ. მათი შესწორებები პალატამ უარყო, რითაც ისინი აიძულა დამორჩილებოდენ ამ გადაწყვეტილებას.

ასეთი ფონდის დაარსების საკითხი არ არის ახალი მოულოდნელი რამ სატარიფო პალატისათვის. მან თავიდანვე დაისახა მიზნად მუშების ჩაცმა-დახურვა და გამოკვების საქმის მოგვარება სამუშაო ქირის საკითხის მოგვარებასთან ერთად.

თუ დღემდე მან ეს საკითხი ვერ მოაგვარა, ეს არა იმიტომ, რომ მას ეს არ უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ის დღემდე თავიდან ფეხებამდი ჩაფლული იყო ტარიფების განხილვასა, მათი შედარებითი მიღებაში და იმ უსწორ-მასწორობის გამოსწორებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამუშაო ქირის საკითხში.

ამ პირველი და მეტად ძნელ მუშაობას პალატამ მხოლოდ ეხლა დაახწია თავი.

მართალია, მისი მუშაობით ყველა კმაყოფილი არ არის, ზოგი მას პროცენტების სიმცირისათვის ემდურის. ზოგიც სისუსტეს უსაყვედურებს [illegible] სხვა, მაგრამ ყველა ის, ვისაც [illegible] ლატა არ მიაჩნია ყველაფრის შემძლე ძალად, რომელსაც [illegible] ლის დაკვრით [illegible] გასწორება, [illegible] ინტერესებს [illegible] კავშირის თვალთახედვიდან და მხედველობაში არ იღებს მუშათა კლასის საერთო მდგომარეობას, არამედ უყურებს მას, როგორც ერთ ორგანიზაციას, რომელსაც განსაზღვრული მომენტები აქვს დასახული და იცავს დააწესრიგოს არა რომელიმე ერთი კავშირის საქმე, არამედ მთელ მუშათა კლასისას საერთოდ დამეთანხმება იმაში, რომ სატარიფო პალატამ მეტათ დიდი საქმე გააკეთა მუშათა კლასისათვის საერთოდ, თუნდაც სამუშაო ქირის მოწესრიგებით და მასში ერთგვარი სისტემის შეტანით. მან დაუფასებელი სამსახური გაუწია უფრო წვრილ და სუსტ მრავალ კავშირთ. მართალია მან შეაჩერა რამოდენიმედ ორი თუ სამი მოზრდილი და მძლავრი კავშირი, მაგრამ ეს შეჩერება საერთოდ მუშათა კლასის სასარგებლოდ მოხდა და არა მის საზარალოდ.

აშკარაა, რომ მან ვერ ალაგმა სპეკულიანტები, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ ეს არ შედის მისი გავლენის სფეროში, ეს უფრო სხვა სახელმწიფოებრივი დაწესებულებების მოვალეობას შეადგენს და სატარიფო პალატა ეცდება ამ დაწესებულებებს შესაფერი ზომები მიაღებინოს სპეკულიანტების წინააღმდეგ.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ეს საკითხი საჭირ-ბოროტოა სატარიფო პალატისათვის და თუ მას ამ შემთხვევაში დახმარება არ აღმოუჩინეს სხვა სახელმწიფოებრივმა დაწესებულებებმა და ორგანოებმა, შეიძლება სატარიფო პალატის არსებობა საფრთხეში ჩავარდეს, რადგან შეუძლებელია სამუშაო ქირის მოწესრიგება სპეკულიაციის აულაგმელად და ვაჭარმრეწველების აღვირახსნილობის შეუზღუდველად ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. კარგი იქნება, რომ ამ მიზნით ჩვენში დაარსდეს ეკონომიურ-ფინანსური სათათბირო ორგანო, რომელიც იზრუნებს ასეთი საკითხების მოსაწესრიგებლად, როგორც ამას ადგილი აქვს გერმანიაში. იქ დაწესდა ასეთი პარლამენტი, რომელსაც სპეციალური დანიშნულება აქვს, და რომელიც ამზადებს კანონ პროექტებს დამფუძნებელი კრების განსახილველად ეკონომიურ-ფინანსიური საკითხების შესახებ.

სატარიფო პალატა იმ თავითვე იყო დარწმუნებული იმაში, რომ მარტო ქონების მიცემით ვერ გააუმჯობესებდა მუშათა მდგომარეობას და ამიტომ ის ხსნას ხედავდა არა ჯამაგირების მომატებაში, არამედ მუშებისთვის ტანისამოსისა, ფეხსაცმელისა, პურისა და შეშის იაფ ფასებში მიწოდებაში.

მაგრამ პირველყოვლისა აუცილებლობას წარმოადგენდა თვით სამუშაო ქირის საკითხის მოწესრიგება. ამიტომაც იყო, რომ პალატამ პირველყოვლისა თავისი მუშაობა აქედგან დაიწყო.

დაათავა რა ეს აუცილებელი დასაწყისი სამუშაო, პალატა შეუდგა მისი მეორე მიზნის განხორციელებას.

სწორეთ ამიტომ მიიღო მან დადგენილება ფონდის დაარსების შესახებ.

მუშათა სექციამ შეგნებულად ამჯობინა ფონდის დაარსება ბონების მომატებას, რადგან ის დარწმუნებული იყო იმაში, რომ არა ბონების, არამედ სანოვაგეს და იაფ ფასიან საქონელს შეუძლია მუშებისათვის წყლულზე მალამოს დადება.

სატარიფო პალატის მუშათა სექციამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მან კატეგორიულად მოითხოვა მთავრობისაგან და საზოგადო და კერძო მწარმოებლებისაგან, რათა ორი კვირის განმავლობაში დაარსდეს ხსენებული ფონდი, რაც დაახლოვებით 80 მილიონს უდრის.

საქართველოს მუშათა კლასზეა ეხლა დამოკიდებული მისი განხორციელება, მისი სულისა და ხორცის შესხმა. საჭიროა, რომ მუშებმა მხარი დაუჭირონ მის რწმუნებულებს და ენერგიულად მოითხოვონ ამ ფონდის დაარსება. მუშათა სექციამ თავისი მოვალეობა შეასრულა. ამხანაგო მუშებო! ეხლა სიტყვა თქვენ გეკუთვნით. თქვენ იცით, როგორ დაგვიჭიროთ მხარს.

სატარიფო პალატის მუშათა სექციის თავმჯდომარე შ. აბდუშელიშვილი.

# საფარმაცევტო საქმე ჩვენს რესპუბლიკაში

(უკანასკნელი ხაფთიაქო ნიხრის გამო).

თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიო ომით გამოწვეულ კრიზისებს სხვადასხვა დარგებში, არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს წამლებით შიმშილმაც. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ერთ უდიდეს მნიშვნელობის მქონე საკითხს ჩვენი არსებობისათვის ღირსეული ყურადღება არ აქვს მიქცეული. დღემდისაც არა გვაქვს შექმნილი სახელმწიფო ორგანიზაცია ამ დარგის გადასახალისებლად და ცხოვრების შესაფერისათ მოსაწყობათ.

არა ერთხელ ამოგვიღია ხმა ჩვენ ამის შესახებ. მოვიწვიეთ მოსამსახურე ფარმაცევტთა ყრილობა შარშან, გამოვიმუშავეთ ზომები, ყველაფერი ეს ვაცნობეთ ვისაც ჯერ არს, მას აქეთ რამოდენიმე კომისიაშიაც არა ერთხელ გვითქვამს ჩვენი აზრი, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა პრაქტიკულად. ჩვენს, ცხოვრების შესაფერისად გარდაქმნილ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში დარჩა ეს ერთი დარგი გადაუხალისებელი.

რა ხდება დღევანდელ აფთიაქებში, ასრულებენ თუ არა ისინი თავიანთ დანიშნულებას, მიაწოდონ ათასნაირ სნეულებით დაუძლურებულ მოქალაქეთ კარგი ღირსების წამალი? თამამათ შეიძლება ვსთქვათ, რომ არა, რომ სულ მცირე გამონაკლისით დღევანდელი აფთიაქები გახდნენ უბრალო სავაჭრო დაწესებულებებად, რაც ყოვლად დაუშვებელია. ყველაფერს ჰყიდიან, მაგრამ რას ყიდიან ალაჰმა უწყის. უკანასკნელ ხანში მთავრობის განკარგულებით მოხდენილმა ნაწილობრივმა რევიზიებმა აფთიაქებში ახადეს ფარდა ყველაფერს და დაანახეს მათაც კი, ვინც აქამდის ვერ ხედავდა, თუ რა ბოროტების ბუდეთ გადაიქცა ბევრი დღევანდელი აფთიაქი. მერე არ იფიქროთ იაფად უჯდებოდეს მომხმარებელს ეს ხშირად სათუო ღირსების წამალი. იმის გარდა, რომ ერთი წამლის მაგიერ მეორეს გაძლევენ, როდესაც სნეულებისაგან განკურნებაზე ლაპარაკიც მეტია, მასთან ტყავიც გძვრებათ. ავიღოთ უკანასკნელი სააფთიაქო ნიხრი, რომელიც შემოიღეს ამ ერთი კვირის წინეთ თუ ყველგან და ყოველთვის ამ ნიხრით იხელმძღვანელებს, მაგრამ ძალიან ხშირათ ხდება მის დარღვევაც და, რაღა ლაპარაკი უნდა, არა მომხმარებლის სასარგებლოთ. აი ნიმუშებიც, თუ რამდენათ გაიზარდა ფასები წამლებზე: 1914 წელში წამალი ღირებული 1 მ. 2 კაპ. დღეს ღირს 76 მან. 07 კ.;—73 კაპ.—70 მან. 70 კაპ.; 1 მან. 31 კაპ.—168 მან. 79 კაპ.; 67 კაპ.;—111 მ. 85 კაპ.; 2 მან. 13 კაპ.—220 მან. 60 კაპ., 3 მან. 14 კაპ.—421 მან. 25 კ., 5 კაპ.—7 მან. 50 კაპ. ნიხრის გადამუშავება გამოიწვია ბაზარზე წამლების ფასების გადამეტებამ ნიხრისაზე.

როგორც ხედავთ ფასები დიდია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო ერთი გარემოებაც. 1914 წელში გამოცემულ ნიხრის მეათე თუ მეთორმეტე დამატება გამოვიდა ეხლა. ერთის შეხედვით ასე ხშირათ ნიხრის ცვლა უნდა ქმნიდეს ასე თუ ისე ნორმალურ პირობებს, როგორც გამყიდველისათვის, ისე მყიდველისათვის, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა უდავო მოვლენას აქვს ადგილი და ყოველი ახალი ნიხრის გამოცემა ყელამდის ავსებს სპეკულიანტებს. როგორც კი დაიწყება ნიხრის გადამუშავება, იმ წუთშივე იწყება ბაზარზე, ე. ი. სპეკულიანტებში, საათობით ფასების ზრდა. აი მაგალითებიც: უკანასკნელი ნიხრის შემუშავების წინა დღეებში ქინაქინა ბაზარზე ფასობდა 3500—4000 მ. კილოგრამი. ამის და კვალობაზე აფთიაქიდან წვრილათ გასაყიდი ფასი დაწესდა 9200 მან. საკმარისი იყო ნიხრის ბეჭდვის დაწყება, რომ ფასებმა იმატეს და დღეს უკვე 6000—7000 მანეთამდის აფასებენ. ძველის გამოცდილებით ვიცით, რომ სულ მცირე ხანში ბაზრის ფასი უსათუოდ გაუსწრებს ნიხრის ფასებს და შეიქმნება ნიხრი კიდევ გადასამუშავებელი, განმეორდება კიდევ ძველი ამბავი. ასპირინი ღირდა 1100—1200 მ. დღეს კი ღირს 2000 მ. და სხვა. მაშასადამე როგორც გვაჩვენა გამოცდილებამ ნიხრის გადამუშავება ვერავითარ მიზანს ვერ აღწევს და აწვება მეტისმეტ მძიმე ტვირთად გაძვალტყავებულ დემოკრატიას. უკვე მითხრა ერთმა ამხ. ექიმმა, რომ ავადმყოფთა რიცხვს, თუმცა არ მოუკლია ახალი ნიხრის გამოსვლის მიზეზით, მაგრამ ველარ მოგვმართავენ ხოლმე რადგანაც შეუძლებელია წამლის ყიდვა, შუათანა რიცხვით ორი თავი წამალი რომ გამოსწერო ღირს 100—150 მან. ასეთი ფაქტიც: შეიტანა აფთიაქში ავადმყოფმა რეცეპტი და დაუფასეს 800 მან. განცვიფრებული ხელმეორეთ ჩაკითხავს და როდესაც კიდევ უმეორებენ ამ ფასს, ეუბნება: „მე აფთიაქს კი არ ვყიდულობ, ცოლი მყავს ავათ და მისთვის მინდა წამალიო“. ხევს რეცეპტს და მიდის უწამლოდ. ჩემის აზრით, მდგომარეობა აუტანელი და მით საშიშარიც გახდა, დროა მივმართოთ სხვა რამ საშუალებას და თუ თავს სავსებით ვერ დავაღწევთ გაუმაძღარ სპეკულიანტებს, საზღვარი მაინც დავუდოთ მათ მადას. ჩემის აზრით, ასეთ საშუალებათ გამოდგებოდა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა.

აუცილებელია ქალაქმა გაიჩინოს ყოველ რაიონში თავისი აფთიაქები ჯერ ჯერობით საკმარისია ოთხი ხუთიც თუ მეტს ვერ შევსძლებთ, ყოველივე ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს მუნიციპალური აფთიაქები გაფართოებულ იქნან და უზრუნველყოფილნი აუცილებელ საშუალებებით. დღეს დღეობით ესეც შესაძლებელია, რადგანაც ჯერ ჩვენი მთავრობის საწყობებიც არ იყვნენ დაცლილი და ამ უკანასკნელ ხანში საგრძნობი რაოდენობის წამლები მიიღო კიდევ მთავრობამ საზღვარ-გარედან. მხოლოდ აუცილებელია მთავრობის საწყობების კარები უფრო ფართოდ იყვეს გაღებული მუნიციპალური აფთიაქებისათვის, ვიდრე ეს დღემდის ხდებოდა. მასთან აუცილებელი პირობაა, რომ ამ საწყობებმა და ამ აფთიაქებმა თავის მთავარ დანიშნულებას იოტისოდენათაც არ გადაუხვიონ. ე. ი. მიაწოდონ მომხმარებლებს საუკეთესო ხარისხის წამლები და არ გამოეკიდონ მოგებას, საკმარისია, თუ წამლების ღირებულებას მიემატება საორგანიზაციო ხარჯები და დანახარჯი თანხის ნორმალური პროცენტი. მაშინ შესაძლებელი იქნება საერთო ნიხრის გაუქმება და თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადება ან მისი დატოვება, როგორც მაქსიმუმის, რის ზევითაც ფულის აღება აფთიაქის პატრონი სასტიკათ იქნება დასჯილი. ნიხრი ახალი, ზემოთ მოყვანილ პრინციპით შემუშავებული ექნებათ მხოლოდ მუნიციპალურ აფთიაქებს და ვფიქრობ ასე საქმის დაყენება გააჩაღებს ერთგვარ კონკურენციას, რაც შესამჩნევათ შეასუსტებს სპეკულიაციას. კითხვა იბადება: ვინ მოიყვანოს სისრულეში ეს გეგმა და სხვა კიდევ უფრო რთული საკითხები ფარმაციისა. მე ვფიქრობ, რომ ვერც მთავრობა და ვერც ჩვენი თვითმმართველი ორგანოები, დატვირთულნი ათასნაირ საქმეებით და მასთან ამ დარგში გამოუცდელები, პირდაპირი თაოსნობით უსპეციალისტებოთ ამ საქმეს ვერ მოაგვარებენ. საჭიროა ამისთვის მოეწყოს ფარმაცევტიული განყოფილებები საერთო სახელმწიფოებრივი წესით და არა სახელმწიფო სახელმწიფოში, როგორც შესაძლოა ვინმეს ეგონოს და მით ეს დარგი ჩაბარდეს სპეციალისტებს.

ასეთი ფარმაცევტიული დაწესებულებები, როგორც ჯერ სახელმწიფოებრივი და მერმე ადგილობრივები გაუწევენ ჯეროვან კონტროლს დანარჩენ, ჯერ ჯერობით კიდევ კერძო აფთიაქებს და დააჩქარებენ მათ განსაზოგადოებრიობას.

წერილი ისედაც ძალიან გამიგრძელდა და ამისათვის ჯერ ჯერობით მეტათ ვსთვლი იმის აღნიშვნას, თუ როგორ უნდა შეიქმნას ეს ახალი დაწესებულებები და მასთან არ ვეხები არც მათ ფინანსიურ მხარეს. ვსტყვი მხოლოდ, რომ საშიშს და შეუძლებელს არც ერთი და არც მეორე არ წარმოადგენს.

ვ. ქავთარაძე.

# მუშათა შორის

თფილისი. რეზოლიუცია ბეჭვდითი საქმის მუშათა კავშირის გამგეობისა მუშათათვის პროდუქტების იაფ ფასებში მიწოდების შესახებ: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. დობორჯგინიძისა, სატარიფო პალატის გარდაწყვეტილებაზე 100 მილ. მან. ფონდის შექმნისა მუშათათვის სანოვაგის იაფ-ფასებში, მისაწოდებლათ გამგეობა აღნიშნავს, რომ ის ამ პოზიციაზე იდგა სწორეთ 1 ნახ. წლის წინად, მაგრამ მაშინ მის წინადადებას მხარი არ დაუჭირეს სხვა ორგანიზაციებმა. აქვს რა გამგეობას ეს გამოცდილება, ის შიშობს, რომ ამ შემთხვევაშიც დიდი ხნის ლოდინი მოუხდება მას, სანამ ეს განზრახვა განხორციელდებოდეს, მაგრამ ის თავის მხრივ იხმარს ყოველივე ღონეს ამ მიზნის განსახორციელებლათ და ადგენს: 1) მისცეს წინადადება ყველა მწარმოებლებს, რათა მათ ექვსი დღის განმავლობაში შეიტანონ სატარიფო პალატაში სანოვაგის მისაწოდებელ ფონდში 1000 მან. თითეულ მუშა მოსამსახურეზე; 2) ეთხოვოს სატარიფო პალატას, დაასრულოს ამ ფონდის დაარსება და დაიწყოს პროდუქტების დარიგება 1 ნოემბრიდან ამა წლის, წინააღმდეგ შემთხვევაში კატეგორიულათ მოითხოვოს ხელფასის გადიდება 1 ნოემბრიდანვე. 3) ეთხოვოს სატარიფო პალატას მიუხედავათ იმისა, ყველა კერძო მწარმოებლების მიერ იქნება თუ არა შეტანილი ხვედრი თანხა, დაურიგოს პროდუქტები ყველა მუშებს“.

—

ავლაბრის რაიონის დემოკრატიას. თფილისში, თითქმის ყველა რაიონებში არსებობს სახალხო უნივერსიტეტები და მუშათა კლუბები, ჩვენს რაიონში უკვე დავაარსეთ სახალხო უნივერსიტეტი, სადაც უკვე დაიწყო სისტემატიურად ლექციების კითხვა, მუშები სწავლობენ ძველსა და ახალს ისტორიას, პოლიტიკური ეკონომიასა და სხვა. დავაარსეთ მუშათა კლუბი, სადაც ხელოვნება უნდა დავუახლოვოთ ფართო დემოკრატიას და აღვზარდოთ ის კულტურულად. ამ მიზნის ცხოვრებაში გასატარებლათ მუშათა კლუბის წევრებმა აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანო—მუშათა კლუბის გამგეობა, რომელიც უკვე შეუდგა თავის მძიმე მოვალეობის შესრულებას. გამგეობამ მოიწვია რეჟისორები ქართულ და სომხურ წარმოდგენების გასამართავად, შეადგინა რეპერტუარი, გამგეობა ყოველ ღონეს ხმარობს ხელოვნების ტაძარი მისაწდომი გახდეს ფართო დემოკრატიისთვის. უკვე დაიწყო მუშათა კლუბმა თავისი მოქმედება და გამგეობა მოუწოდებს ავლაბრის დემოკრატიას შემოკრბეს მუშათა კლუბის გარშემო და ნუ მოაკლებენ მას თავის თანაგრძნობას. ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა და ავლაბრის დემოკრატია ხელი ხელ ჩაკიდებულნი უნდა მიდიოდენ იმ გზით, რომელზედაც შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა. ამ იმედით აღფრთოვანებული ვიწყებთ ამ ახალ საქმეს.

ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა

# ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 16 ოქტომბერს შესდგა ს. სოც. დემ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ფ. ლორია. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი.

კრებამ მოისმინა ამხ. ს. თევზაძის მოხსენება ცენტრიდან, თ. ხ—ლის—თფილ. კომიტეტიდან, აგრეთვე ქვე კოლექტივების წარმომადგენლების მოხსენებები მიიღო მხედველობაში და გადავიდა შემდეგ კითხვებზე.

კომიტეტ. წარმომადგენლის ცნობით, თფილისის კომიტეტს სურვილი გამოუთქვამს პროფესიონალურ საბჭოს კუთვნილ საზაფხულო შენობის პარტიულ კლუბათ აღებაზე, ამ საქმის მოსაგვარებლათ გამართავს მოლაპარაკებას პროფესიონ. კავშ. საბჭოსთან.

ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“ გავრცელების შესახებ კოლექტივი ადგენს, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ ორგანოს გავრცელებაში.

კახელ მევენახეთა საზოგადოების წერილობით განცხადებიდან ირკვევა, რომ კოლექტ. წარმომადგენლათ აურჩევიათ ამხ. ამაშუკელი, კრება ხსენებულ კანდიდატს ამტკიცებს.

ვინაიდან პარტიის წევრთა რეგისტრაცია ჯერ არ არის სავსებით დასრულებული, კრება ამ საკითხს სტოვებს ღიათ.

სეილანოვის ფაბრიკაში ორგანიზაციის სასურველ ნიადაგზე მოსაწყობათ არჩეულ კომისიის მოხსენებიდან ირკვევა, რომ მათ ჯერ არ დაუსრულებიათ საორგანიზაციო მუშაობა. კრება სთხოვს არჩეულ ამხანაგებს მიიღონ ენერგიული ზომები ხსენებულ ფაბრიკაში ორგანიზაციის სასწრაფოთ მოსაწყობათ.

თედ. ხუხუნაიშვილი.

# პროვინცია

თიანეთი. 7 ოქტომბერს გაიხსნა მეორე სესია თიანეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობისა. ეს პირველი საქმიანი ყრილობა იყო თიანეთის მაზრის ერობის ისტორიაში. გამგეობამ, რომელმაც სულ მესამე თვე არის, რაც მუშაობა დაიწყო, ყრილობას წარმოუდგინა მრავალგვარი ყოველმხრივ დასაბუთებული მოხსენებები. ყრილობის დღიურ წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1) ადმინისტრაცია, 2) სახალხო განათლება, 3) ახალი ტიპის სკოლა, 4) სამკურნალო-სანიტარო და საზეითლო საქმეები, 5) აგრონომიული დახმარება, 6) მიწის რეფორმა, 7) გადამიჯვნის საკითხი, 8) გზები, ტელეფონები და სხვა სატექნიკო საქმეები, 9) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, 10) მოხსენება თიანეთ-ერწო-თფილისის საფოსტო გზის აღდგენის შესახებ, 11) სასურსათო საქმეები, 12) სანიტარული გადასახადი, 13) ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება და სხვა.

ყრილობის უმთავრესი ყურადღება მიიპყრო სახალხო განათლებამ, ადმინისტრაციამ და გზებმა.

სკოლები მაზრაში ფაქტიურათ არ ყოფილა, გარდა ცოტაოდენი გამონაკლისისა. მასწავლებლებიც, თუმც ითვლებოდნენ სამსახურში, მაგრამ მეცადინეობა კი არ ჰქონიათ, ჯამაგირები კი სრულად უღიათ. შენობები დანგრეულა და მოითხოვს შეკეთებას.

ყრილობამ დაავალა გამგეობას აღადგინოს წლის ბოლომდე ყველა სკოლები და გახსნას ორი ახალი: ბარისახოში (ხევსურეთი) და ხევსურთ სოფელში (ერწო). მასწავლებლებს ყრილობამ ჯამაგირები გაუდიდა 1500 მანეთამდე.

ადმინისტრაცია ჩაუბარებია გამგეობას, შესდგომია მის გაჯანსაღებას, შტატები საგრძნობლად შემცირებულია—ეტყობა, რომ მალე მილიცია სათანადო სიმაღლეზე იქნება აყვანილი.

უგზოობა თიანეთის მაზრას ძლიერ ამჩნევია და სრულიად სამართლიანად გამგეობა თავის მოხსენებაში მოითხოვდა განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას. ყრილობამ დაავალა გამგეობას, რომ ჯერ ერწო თფილისის გზას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, დაამზადოს დასაბუთებული მოხსენება ამ გზის შესახებ და მთავრობის და დამფუძნებელი კრების წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რათა რესპუბლიკის ხაზინამ იდეას თავს მისი შეკეთება, რადგან ამ გზას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია აგრეთვე გადამიჯვნის საკითხი, სწორედ რომ ვსთქვათ, თიანეთის მაზრის დაშლის საკითხი. უნდა ითქვას, რომ სანამდის მაზრაში ერობას შემოვიღებდით, მის ბედს ყველა ალმაცერად უყურებდა, ხოლო დღეს კი სულ სხვა სურათს ვხედავთ.

თუ რომელიმე სხვა ჩამორჩენილ მაზრას შეუძლიან იარსებოს და გაუძლვეს საკუთარ საქმეებს, უფრო ადრე ამას შესძლებს თიანეთის მაზრა. ამის თავდებია ის საქმეები, რაც ორი თვის განმავლობაში მაზრაში გაკეთდა. ყრილობამ ერთხმად დაადგინა, რომ მაზრა დარჩეს მთლიანად და არავითარი დაშლა არ მოხდეს, გარდა თუშეთისა, რომ ლებიც წელიწად ნახევარია, რაც თელავის მაზრას მიეწერნენ.

გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა საუცხოვოდ იყო შედგენილი: არ იყო გადაჭარბებული არაფერი, რაც ზოგიერთ ერობებს პირველში დაემართათ. მთელი ხარჯთ აღრიცხვა უდრის 1,766,500 მანეთს, 1 ოქტომბრიდან 1 იანვრამდე.

ერთის სიტყვით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები იმას გვეუბნებიან, რომ მაზრას პატრონი გაუჩნდა, რომელიც ასე ძალიან ესაჭიროებოდა.

დაბოლოს საჭიროა ითქვას, რომ, როგორც ყველგან, აქაც მაზრაში გაჩნდენ კონტრ რევოლიუციონერები—ბოლშევიკები, რომლებიც ეწევიან პროვოკაციას უფრო კი გადასახადების გარშემო.

თფილისისკენ მოვდიოდი, როდესაც ამხანაგებმა წერილობით გზაზედ შემატყობინეს, რომ. სოფ. ზემო-თიანეთში დაუჭერიათ მთელი წყება შემთქმელებისა, რომლებსაც შეთანხმება ჰქონიათ დუშეთის რეაქციონერებთან. თითქმის ყველა ისინი ყოფილან, ვინც 1918 წელს ზაფხულში თიანეთის აჯანყებას მეთაურობდნენ.

ხმოხანი.

# ცნობები

კიევიდან ჩამოსულს ექიმს გრ. მეძმარიაშვილს და სხვა ახალგაზრდობას ვთხოვ მაცნობონ, ხომ არა იციანრა ჩემის მეუღლის ფრიდა ფლეიტმანისა, რომელიც აპირობდა საქართველოში დაბრუნებას. მისამართი: თფილისი. უბანი ვაკე. სახლი ლალიშვილისა. დავით ჩხეიძე.

# განცხადებანი

## დაიკარგა

ნაძალადევის თეატრში საფულე, შიგ იყო თფილისის სამხედრო უწყებიდან მოცემული თავისუფლების მოწმობა, გვარდიის მიერ მოცემული ნებართვის მოწმობა და მილიციის უფროსისგან აღებული რევოლვერის ტარების მოწმობა. აგრეთვე რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან მიღებული პირადობის მოწმობა. ყველა ზემოხსენებულ დოკუმენტებს ვაცხადებ გაუქმებულათ. თედორე ლ. დემეტრაშვილი. (2731—1—1)

მე, პავლე მჟავანაძემ

## დავკარგე

რევოლვერ „მაუზერის“ და „კარაბინის“ ტარების ნებართვა უსურათოთ, № 13788, შინაგან. საქმეთა სამინისტროსაგან ბოძებული ამა წლის 7 აგვისტოს თარიღით, რომელიც ჩაითვლება გაუქმებულად. (2728—1—1)

დოქტორი რომანიუს მაკარი.

სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავათმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაზარეთნაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ხ. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობა, ელექსისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიაჯვა და წამლობა Xს სხივებით, დიდი სალნოიდი და არსეველი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისთვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—32.

ექიმი ა. ლევენშტეინი

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაჭების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი ნ. დ. ტუხაიაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. გოცხი

ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავათმყოფობანი ელექტრო სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავათმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავათმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42

კბილის ექიმი

მ. მ. გიგაური-მხაკიანი

იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი დ. მ. ჭავჭავაძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65

ექიმი მ. ხიჯაკაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროქეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლდას) ქუჩა. გაბაევის შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ბესარიონ პაპავა

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27

ექიმი დ. მ. [illegible]

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 6[illegible] [illegible] 14—60. (თ.—2662.)

[illegible]

სისხლის გამოკვლევა სიფილისიანზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტირიზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი გ. ა. ჭავჭავაძე

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: ოლღას ქუჩა № 33

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ძველი აუდიტორიის ახლო.

დოქტორი მ. გოლდშტეინი.

თვალის ავათმყოფობანი .ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და საღ. 4—7 დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი რ. მ. ზოდელ-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ელინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფნ და იძლევა საბებიო დარიგებას ხიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ა. მ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი ბ. დ. ქიქოძე

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—8 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნორდ“ პირდაპირ № 116. ტელ. 11—28.

# მომხმ. საზ. „აღორძინება“

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წინასწარი საარჩევნო რაიონული კრებები რწმუნებულთა კანდიდატების დასასახელებლად მოხდება შემდეგი წესით:

1. დიდუბის რაიონში—20 ოქტომბერს რაიონულ სასურსათო კომიტეტის შენობაში—ელისაბედის და გლდანის ქუჩების კუთხე;
2. ნაძალადევის რაიონში—21 ოქტომბერს, ნაძალადევის თეატრის შენობაში;
3. სადგურისა და მოლოკანის რაიონში—22 ოქტომბერს, რკინის გზის მოსამს. შემნახველ-გამსესხებელ კასის შენობაში. მოლოკანისა და ბატარეის ქ. კუთხე.
4. თუმანოვის და ერთობის უბნის რაიონში—23 ოქტომბერს, მომრიგებელ სას. განყოფილების შენობაში თუმანოვის ქუჩა;
5. ავლაბრისა და ბელოგორსკის რაიონში—24 ოქტომბერს, სახალხო უნივერსიტეტის კლუბის შენობაში, კახეთის მოედანი;
6. საბურთალოს რაიონში—25 ოქტომბერს, მუშათა კლუბის შენობაში (საბურთალო);
7. ვერისა და მამადავითის რაიონში—26 ოქტომბერს, მომხ. საზ. „აღორძინების“ გამგეობის შენობაში—ვერის დაღმართი ანანოვის სახლი.

კრებები დაიწყება ყველგან საღამოს 7 საათზე გარდა ვერის რაიონისა, სადაც კრება გაიხსნება დილის 10 საათზე. (2736—1—1)

# ქართულ ლატარიის გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ლატარიის გათამაშება შესდგება 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში. ბილეთი ღირს—25 მან., კუპონი—5 მან. პირველი მოგება 100,000 მან. მეორე მოგება 50,000 მან. გამგეობის კანტორა ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა (ყოფილი სასახლის ქ.) № 5, ტელეფონი 7—61. (6. 8—2)

# განცხადება

კუშუბოურის სკოლის მასწავლებელი ივანე არსენის ძე ნაფეტვარიძე, რომელიც არა ნორმალურათ იმყოფება, წავიდა სახლიდან კვირიკობისთვის შუა რიცხვებში და მას მერე მისმა დამწუხრებულმა მშობლებმა მის შესახებ არა იციან რა. ჩემი უბედური შვილი შუა ტანისაა, პირ-ლამაზი, შავი წარბები, ჭრელი თვალები და პატარა ლამაზი ულვაშები. გთხოვთ უმორჩილესად თუ ვინმემ ნახოთ, ან გაიგოთ რამე, მაცნობეთ შემდეგი მისამართით: სოფ. ტობანიერი, მღვდელ არსენ ნაფეტვარიძეს, რომელიც დიდ საჩუქარს მიიღებს. (2705—1—1)

# სამხედრო სამინისტროს სტამბა

იწვევს სამსახურში ფაქტორის თანამდებობაზე ხელობის კარგად მცოდნე პირს. ასოთ აწყობის ცოდნა სავალდებულოა. პირობების შეტყობა შეიძლება სტამბის კანცელარიაში.

## ზედმეტი მსახური უფროსი ნაცვალი!!!

საჭიროა სტამბაში. მსურველს შეუძლია მიმართოს სტამბის უფროსს. ლორის მელიქოვის ქ. № 3. (2701—3—1)

# სახალხო სახლი (ზუბალაშვილისა)

ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს,

ქართ. ხამუსიკო საზ—ბის და საქართ. კოოპერ. კავ—რის

## კაპელა

დ. არაყიშვილის ლოტბარობით გამართავს

## კონცერტს.

(2—1)

თფილისის სახელმწიფო დაწესებულების მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ ოქტომბრის 19, დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ხსენებულ საზოგადოების წევრთა

## არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

დღის წეს რიგში დასმულია: 1) საკითხი მოხელეთა ეკონომიური საზოგადოების აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებასთან შეერთების შესახებ და 2) მიმდინარე კითხვები. თუ პირველი კრება დანიშნულ დროს არ შესდგა ქვორუმის უქონლობის გამო, მეორე კრება გაიხსნება ერთი საათის შემდეგ და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

გამგეობა.

(2726—2—2)